ქველმოქმედების კანონი - ტკბილი ტყუილი A6

იტალიამ ბეწვის ხიდზე გაიარა B1

ჯაზის ლეგენდა კრემლის შემდეგ ფილარმონიაში იმღერებს B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 14 ივნისი, 2002 წელი. №12

ფასი 50 თეთრი

# აფეთქება რუსთაველზე - ნამსხვრევები სააკაშვილის ოფისში ცვივა...





ბესო გულაშვილის ფოტოები

მაია ჭალაგანიძე

დაახლოებით ღამის პირველ საათზე რუსთაველის გამზირი და სოლოლაკი მძლავრმა აფეთქებამ შეძრა - ცისფერი გალერეის ეზოში რაღაც აფეთქდა. ზუსტად ამავე დროს, სროლები სააკაშვილის ოფისთან, ვუკოლ ბერიძის ქუჩაზეც ისმოდა. აფეთქების ხმაზე გამოსულ მიხეილ სააკაშვილის დაცვას ჩასაფრებული თეთრი "ჯიპიდან" ცეცხლს უხსნიან და საპასუხო სროლაზე ისინი გარბიან...

მანამდე კი სააკაშვილის "ღამის მოამბეში" გამოსვლა და პრეზიდენტის უპრეცენდენტო ზარი იყო; შევარდნაძე გადაცემის სტუმარს სიცრუეში სდებდა ბრალს.

**- ცხოვრება მოულოდნელობებით არის აღსავსე,** – იტყვის მოგვიანებით სააკაშვილი, – **ჯერ პრეზიდენტი გირეკავს ეთერში, მერე – გესვრიან...**

მიხეილ სააკაშვილის პარტიის ოფისი ადმინისტრაციულ ეპიცენტრში მდებარეობს, მას სულ რამდენიმე ერთეული მეტრი აშორებს პარლამენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს (რომლის დაცვამაც ჩვენთან საუბარში უარყო რაიმე სროლა), რამდენიმე ათეული მეტრით არის დაშორებული კანცელარიის და ორი ასეული მეტრით პოლიციის ქვეგანყოფილებას. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველები შეტყობინებიდან მხოლოდ ერთ საათში მიდიან ნაციონალების ოფისში...

**- მე ასეთი მარაზმი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. ეს არის უცნაურობის მწვერვალი! – პრეზიდენტი გადაცემაში რეკავს, როგორც რესპოდენტი. პრეზიდენტის ფუნქცია არ არის მორიგეობა ტელევიზორთან... მისი ფუნქცია ქვეყნის მართვაა... როცა ის დაკავებულია რეკვით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მართვის დრო მაინცადამაინც არ რჩება... კიდევ ერთი უცნაურობა ის იყო, რომ უკანა პლანზე მკვეთრად ისმოდა მისი მეუღლის ხმა. მე ჩემს მეუღლეს არ მივცემდი იმის ნებას, ეკარნახა, თუ რა უნდა მეთქვა ტელევიზიაში რეკვისას!** – ამბობს სააკაშვილი...

ცისფერ გალერეასთან უშიშროება და პოლიცია მუშაობს, გარკვევით არაფერს ამბობენ; სააკაშვილის ოფისში მისი მეგობრები მოდიან; "ღამის მოამბეც" დასრულდა...

თბილისში შუაღამე გადასულია და "ყველაფერი გენიალურადაა!"

## „აფხაზეთში რუსეთის პასპორტებს არიგებენ, აჭარა და სამაჩაბლო რიგს იკავებენ„

რუსუდან ნიკურაძე
*საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვში*

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა სმეტანინმა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 5 მაისს პრეზიდენტ პუტინის მიერ ხელმოწერილი კანონის თანამემამულეთა შესახებ და პარლამენტის მიერ მიღებული მოქალაქეობის კანონის თანახმად, აფხაზეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები რუსი ეროვნების პირების, რუსი სამხედრო მოსამსახურეებისა და იქ მყოფი რუსეთის მოქალაქეების მომსახურების მიზნით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი გამსვლელი საკონსულო სამსახურების ორგანიზებას ეწევა.

შეკითხვაზე - ხომ არ გამოიწვევს ეს საქართველოს ხელისუფლების გაღიზიანებას? - სმეტანინმა გვიპასუხა, რომ იმავეს აკეთებენ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს დიპლომატები, როცა სანკტ-პეტერბურგსა და სოჭში ჩადიან და საქართველოს მოქალაქეებს ემსახურებიან. დიპლომატის თქმით, ორ სახელმწიფოს შორის მიღწეული შეთანხმებით, არც ერთი მხარის უფლება არ ირღვევა. სმეტანინს ვერ გაუგია, რატომ უნდა გამოიწვიოს რუსეთის მოქალაქეების საქართველოს რეგიონებში საკონსულო მომსახურებამ ქართველების ნეგატიური რეაქცია.

დიპლომატმა ასევე დაადასტურა, რომ აფხაზეთში მუშაობა დაიწყო რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა განცხადებების შემსწავლელმა კომისიამ, რაც ახლახან მიღებული "მოქალაქეობის კანონის" ფარგლებში ხორციელდება.

გაგრძელება A8 გვერდზე

## კრასნოდარის მხარე - ნაცისტური გერმანიის პატარა ფილიალი

თინათინ მჟავანაძე

კრასნოდარის გუბერნატორის, ალექსანდრ ტკაჩოვის მიერ, კავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან მიგრანტების წინააღმდეგ, აგორებული კამპანია სერიოზულ მასშტაბებს ღებულობს. გუბერნატორი ცდილობს, დაეყრდნოს კრასნოდარის რუსი მოსახლეობის მხარდაჭერას, რის გამოც მხარის სახელმწიფო მასმედია აქტიურად ეწევა პროპაგანდას.

კრასნოდარის სახელმწიფო ტელეკომპანიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით, გადაიღო 40-წუთიანი ფილმი მიგრანტების პრობლემებზე. ფილმის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ "გადამთიელები" ახლო საზღვარგარეთიდან - ეს არის ხალხი, რომლებიც, თავიანთი ტრადიციითა და ცხოვრების წესით, მიდრეკილნი არიან დამნაშავეთა სამყაროსკენ, ნარკოტიკების მიღებისა და გასაღებისაკენ.

გაგრძელება A8 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | ☼ |
| ქუთაისი | 26 | ☼ |
| ბათუმი | 22 | ☁ |
| სოხუმი | 23 | ☼ |
| ფოთი | 23 | ☼ |
| თელავი | 23 | ☼ |
| ზუგდიდი | 26 | ☼ |
| გორი | 22 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0928 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2630 |
| რუბლი | 0.0707 |

## ნათელაშვილი სააკაშვილის წინასაარჩევნო ლოზუნგს უერთდება

### სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარედ

ეკა კვესიტაძე

**"ჩვენ მზად ვართ, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მხარი მიხეილ სააკაშვილს დავუჭიროთ!"** – ნათელაშვილის ამ განცხადებამ ყველაფერი თავდაყირად დააყენა.

სცენარი, რომელიც აქამდე ყველაზე რეალისტურად გამოიყურებოდა და რომლის მიხედვითაც, საკრებულოს თავმჯდომარეობის ყველაზე დიდი შანსი "ახალ მემარჯვენე" ლევან გაჩეჩილაძეს ქონდა, ახალმა სცენარმა ჩაანაცვლა.

მთავარი გმირი კი, მიხეილ სააკაშვილი გახდა, რომელსაც უკვე გადაწვეტილი ჰქონდა, რომ საკრებულოსათვის ბრძოლის გაგრძელებას აღარ აპირებს და მთავარ ბრძოლას შევარდნაძის წინააღმდეგ იწყებს.

მაგრამ შალვა ნათელაშვილის განცხადებამ ეს გეგმები ნაციონალური მოძრაობის ლიდერსაც თავდაყირა დაუყენა. თუმცა ნათელაშვილის იმედი, რომ მერყევი სააკაშვილი მის გამოწვევაზე არ დათანხმდებოდა და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე უარს იტყოდა, არ გამართლდა. გუშინ სააკაშვილმა საბოლოოდ განაცხადა, რომ მზადაა ლეიბორისტების წინადადების მისაღებად .

"ახალი მემარჯვენეები" კი აშკარად იმედგაცრუებულები ჩანან. თითქმის გარანტირებული ბერკეტი, რომელიც მათ საკრებულოს და მერიის გაკონტროლებით ეძლეოდათ, ხელიდან ეცლებათ.

სამაგიეროდ, სცენარი, რომელიც მოულოდნელად გათამაშდა, ქალაქის მერის ვანო ზოდელავას ინტრესებს ზუსტად ემთხვევა.

ამ ეტაპზე ზოდელავას ყველაზე დიდი სურვილი საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ლევან გაჩეჩილაძის მოსვლის თავიდან აცილებაა. "ახალ მემარჯვეებში" ქალაქის მერი ყველაზე დიდ საფრთხეს ხედავს – დაემშვიდობოს საკუთარ თანამდებობას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზის ინსპექტირება ჩაიშალა

ზაზა წულაძე

*გუშინ გუდაუთაში უშედეგოდ დასრულდა რუსეთის სამხედრო ბაზის ინსპექტირების მცდელობა, რომელსაც ამ ბაზის გაუქმება უნდა დაედასტურებინა. უკანასკნელ მომენტში, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის( ეუთო) წარმომადგენლებმა ინსპექტირების გადადება მოითხოვეს, რადგან, მათივე თქმით, ჯერჯერობით, ბოლომდე ვერ გაერკვნენ სამხედრო ბაზაზე მიმდინარე პროცესებში.*

გუშინ გუთაუთის ბაზის ინსპექტირებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ეუთოს, გაეროს მისიის წარმომადგენლებს, დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდალ ევგენი ევნევიჩს და ქართულ-აფხაზური კონფლიქტში რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს ვალერი ლოშჩინინს, რომლებიც სამდღიანი ვიზიტით იმყოფებიან სოხუმში.

**"თავიდან გადაწყვეტილი იყო, რომ გუთაუთის ბაზის ინსფექტირება ნამდვილად შედგებოდა, თუმცა ეუთოს წარმომადგენლებმა, რომლის ეგიდითაც მიიღეს**

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B1 ფეხბურთი | B2 ფეხბურთი | B3 ფეხბურთი | B4 ტოტალიზატორი | B5 სტილი | B6 კულტურა | B7 კულტურა | B8 სხვადასხვა

# გულიაშვილი ეთანხმება და არ ეთანხმება მოსარჩელეებს

## ცესკოს იურისტი ცესკოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ

ვერიკო თევზაძე

გუშინ უზენაეს სასამართლოში, ბოლნისის არჩევნებთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი გაიმართა. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე და ქალაქის მერი დავით ხმელიძე. ისინი, იმავდროულად, დეპუტატობის კანდიდატებიც არიან და მოითხოვენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებას, ბოლნისში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე.

სხდომის დაწყებამდე ცსკოს წარმომადგენელმა ელზა გულიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ **"ცესკოს გადაწყვეტილება არასწორია, იგი სამართლებრივად გაუმართავია. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება".** მოგვიანებით გულიაშვილმა პროცესზე თავისი პოზიცია ამგვარად დააფიქსირა: **"როგორც ცესკოს წარმომადგენელი, არ ვიზიარებ მოსარჩელე მხარის მოთხოვნას, როგორც იურისტი, მოსარჩელეებს ვეთანხმები."**

მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის პაატა კიკნაველიძის აზრით, ცესკოს მიერ კენჭისყრის შედეგების გაუქმება საარჩევნო კანონის უხეში დარღვევაა: **"შესული საჩივრების საფუძველზე, ცესკოს უნდა დაედგინა, რა სახის დარღვევები დაფიქსირდა, დარღვევის რომელი ფაქტი დადასტურდა და რომელს შეიძლებოდა, მინიჭებოდა უხეში დარღვევის კვალიფიკაცია, ანუ ამ დარღვევას შეეძლო თუ არა მოეხდინა ზეგავლენა კენჭისყრის საბოლოო შედეგებზე. ცესკოს განცხადება-საჩივრები არ გადაუმოწმებია. ამ საჩივრებთან დაკავშირებით თავის განკარგულებაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არანაირი შეფასება არ დაუფიქსირებია. ცესკო, რომელიც თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს არჩევნების შედეგებს, მხოლოდ და მხოლოდ მიუთითებს ზოგად ნორმაზე, რომელიც განსაზღვრავს ცესკოს ზოგად კომპეტენციას".**

ნებისმიერი ხასიათის დარღვევა შეიძლება თუ არა გახდეს საარჩევნო უბნებში კენჭისყრის შედეგების გაუქმების საფუძველი? - ამგვარი შეკითხვით მიმართა ცესკოს იურისტმა მოსარჩელის წარმომადგენლებს და ამით, ნებსით თუ უნებლიედ, თავისი პოზიციაც დააფიქსირა. გულიაშვილმა მიგვანიშნა, რომ ცესკომ საჩივრებში მითითებული დარღვევები არ შეაფასა, არ დააკვალიფიცირა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცესკომ არჩევნების შედეგები ქალაქის ოთხივე უბანში ცნო ბათილად, მაშინ, როცა ერთ-ერთი უბნის კომისიაში საჩივარი საერთოდ არ შესულა.

მესამე მხარის (მხარეს წარმოადგენს ცხრა დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც საჩივრით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას) წარმომადგენელი ვლადიმერ სანიკიძე აცხადებს, რომ ბოლნისში არჩევნები უხეში დარღვევებით ჩატარდა. სანიკიძის მტკიცებით, პოლიციამ ხელი შეუშალა მონიტორინგის ჩატარებას, ვინაიდან იგი შედიოდა ოთახებში, სადაც ამომრჩეველი ხმას აძლევდა. მოსარჩელე მხარე თავს იმართლებს, გაწვიმდა და პოლიცია იძულებული გახდა, ფოიეში შეეფარებინა თავიო.

მოსარჩელეები ცდილობენ სიტუაციის გამოსწორებას და ხაზგასმით აღნიშნავენ: **"36 დეპუტატობის კანდიდატიდან 23 ამბობს, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდა".**

უნდა აღინიშნოს, რომ შვიდივე გამარჯვებული დეპუტატი ირიცხება იმ ოცდასამკაციან სიაში, რომლის წარმომადგენლებიც ბოლნისის არჩევნებს დადებითად აფასებენ.

საარჩევნო კომისიის წევრები მოწმედ დაკითხვისას დარღვევების ფაქტებს უარყოფენ. ერთ-ერთი უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მერი ყურაშვილმა სასამართლოს საერთაშორისო დამკვირვებლის "შთაბეჭდილებაც" კი გააცნო: **"ასეთი ლამაზად ჩატარებული არჩევნები ჯერ არსად მინახავს (ციტატა სიტყვა-სიტყვით მოგვაქვს)".**

პროცესი უზენაეს სასამართლოში დღეს დილის 11 საათისათვის უნდა განახლდეს.

# შეურაცხყოფილი ბოლნისელი ჟურნალისტები თბილისელ კოლეგებს მხარდაჭერას სთხოვენ



*თამუნა ხოფერია, ელგა ფოლადაშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ლევან რამიშვილი*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტში" კიდევ ერთი პრესკონფერენცია მიეძღვნა 2 ივნისს ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებს. კონკრეტულად, გუშინდელი პრესკონფერენციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა არჩევნების დროს, ბოლნისში, ყოფილი გამგებლის, ზურაბ ჯაფარიძის მიერ ჟურნალისტების დაშინების მცდელობა. როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, ზურაბ ჯაფარიძე მსგავს ხერხებს ადრეც მიმართავდა. ამის დამადასტურებელი ფაქტები დაფიქსირებული იყო კასეტაზე, რომელიც ჟურნალ "გუთნისდედას" მთავარმა რედაქტორმა ელგა ფოლადიშვილმა, პრესკონპერენციაზე საჩვენებლად, სპეციალურად ჩამოიტანა, მაგრამ, ტექნიკური მიზეზების გამო, კასეტის ჩვენება ვერ მოხერხდა.

დაზარალებულებმა დაწვრილებით გაიხსენეს შეურაცხყოფის ფაქტები: **"საარჩევნო უბანში ადგილები მიგვიჩინეს და გვითხრეს, ფეხი არ მოიცვალოთო. ფეხზე ადგომის უფლებაც კი არ გვქონდა. როცა ჩემი უფლებების გამოყენება ვცადე, პოლიციელმა ხელი ჩამავლო და გარეთ გამიყვანა. ძალიან კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, კვლავ მომცეს არჩევნებზე დასწრების უფლება, მაგრამ, მოგვიანებით, 1 საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ ლეილა ალადაშვილმა თქვა, ეს გოგო ხელს მიშლისო. ამის შემდეგ ზურაბ ჯაფარიძე ჩემკენ გამოემართა, ხელი ჩამავლო და მუჯლუგუნის კვრით გარეთ გამაგდო. ამ დროს მისი ძმა ზურგში მირტყამდა ხელებს. ხალხს ისე ეშინია, რომ არავინ დამიდგება მოწმედ,"** - განაცხადა ბოლნისის ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტმა თამუნა ხოფერიამ. მისი თქმით, იგი არ აპირებს შეურაცხყოფის დავიწყებას და, ახლო მომავალში, ზურაბ ჯაფარიძის წინააღმდეგ, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისათვის, სარჩელით მიმართავს სასამართლოს.

ელგა ფოლადიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, **"პირადად ჩემთვის ზურაბ ჯაფარიძეს ხელი არ დაურტყამს, მაგრამ ეს არ ამცირებს მის დანაშაულს, მან მორალური შეურაცხყოფა მომაყენა, მაგინა. ამ კაცს მორალური შეურაცხყოფისთვის ვუჩივი და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან."** ელგა ფოლადიშვილის თქმით, ზურაბ ჯაფარიძემ მისი დაშანტაჟებაც სცადა: **"ეს არის კაცი, რომელიც თათბირებზე იგინება, როცა მოუნდება პანჩურს თუ არა, წკიპურტს მაინც ჩაგარტყამს. საშინელება ის არის, რომ ხალხი ამას ჩუმად ითმენს."**

**"ქვეყნისათვის, რომელიც პრეტენზიას დემოკრატიაზე აცხადებს, ასეთი ქმედებები მიუღებელია. ფაქტობრივად, რამდენიმე დიდი ქალაქის გარდა, თბილისის იქით რა ხდება, არავის აინტერესებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჩვენი კოლეგები მარტო არიან დარჩენილები,"** –განაცხადა პრესკონფერენციაზე "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა. მისი აზრით, პრობლემა მხოლოდ ამ ორი კონკრეტული ფაქტით კი არ შემოიფარგლება, არამედ, **"პრობლემა ის არის, რომ ასეთი რაღაც მოხდა და საზოგადოებას რეაქცია არ ჰქონია. ამ ამბავმა ისე ჩაიარა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. არადა, ძალიან სერიოზული რამ მოხდა და ახლაც ხდება. ხელისუფლების წარმომადგენელი თავს იმის უფლებას აძლევს, რომ გააკეთოს ის, რაც უნდა."**

გუშინდელი შეხვედრის მიზანი იყო, მასმედიის წარმომადგენლებში სოლიდარობის გრძნობა გაღვივებულიყო და დაწყებულიყო ერთობლივი ბრძოლა დამკვირვებლების, ჟურნალისტების და, საერთოდ, ადამიანების უფლებების დასცავად.

ორგანიზატორებმა, პრესკონფერენციის დასასრულ, მასმედიის წარმომადგენლებს თხოვნით მიმართეს, რომ 16 ივნისს დანიშნულ განმეორებით არჩევნებს რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებელი დამკვირვებელი და ჟურნალისტი დაესწროს. მათ იმედი აქვთ, რომ, ასეთ შემთხვევაში, გაყალბების მცდელობა თუ არა, გაყალბების რაოდენობა მაინც, აუცილებლად შემცირდება.

p.s. პრესკონფერენციაზე აღნიშნეს ისიც, რომ ზურაბ ჯაფარიძემ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე ტელევიზიას ჩამოართვა კამერა, რომელიც ადრე აჩუქა.

# რუსთავში კიდევ ერთი არჩევნები ინიშნება

## ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი ხდება

მაია მოსიაშვილი

საქართველოს საარჩევნო კოდექსი. მუხლი 63.1. - საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილი ოქმების საფუძველზე, კენჭისყრიდან არაუგვიანეს მეოთხე დღისა, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და ადგენს ოლქში ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის არჩევნებიდან მეოთხე დღეს, 13 ივნისს რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ოთახები ქალაქის თეატრის შენობაში დილიდან ცარიელი იყო. კომისიის წევრთა ადგილსამყოფელის დადგენა ჟურნალისტებისთვის შეუძლებელი გახდა. კომისიის თავმჯდომარეს კახა გურგენიძეს მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. თეატრის დარაჯის თქმით, საოლქო კომისიაში, ერთი წევრის გარდა, არავინ მისულა და მანაც მაშინვე დატოვა შენობა.

დღის მეორე ნახევარში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომისიის წევრები მერიის შენობაში აპარატის უფროსის კაბინეტში იმყოფებოდნენ. ჟურნალისტებისთვის ამ კაბინეტის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. გურგენიძის ადგილსამყოფელი თით ადრე შეიკრიბა. ზუსტად 24 საათისთვის ცნობილი გახდა, რომ რუსთავის მერი 26230 ხმით მერაბ ტყეშელაშვილი გახდა. მისმა ლეიბორისტმა კონკურენტმა მერაბ გორდეზიანმა 5181 ხმა დააგროვა, ხოლო გია ჩხიკვაძემ - 263.

საოლქო კომისიამ საკრებულოს არჩევნებში 15 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი დაასახელა. საბოლოოდ როგორი იქნება საკრებულოს შემადგენლობა, ჯერ არავინ უწყის, რადგან კომისიის გადაწყვეტილებით ორი უბნის - 31-ე და მე-4-ს შედეგები ბათილად იქნა მიჩნეული და იქ 23 ივნისს განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდება. ამ ორმა უბანმა არჩევნების საბოლოო შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს, მაგრამ თუ 15 საუკეთესოთა შორის მოხვედრილები "იყოჩაღებენ", შეიძლება სია აღარც შეიცვალოს: 4 ნაციონალი, 2 ყოფილი სმკ-ელი, 2 ლეიბორისტი, 2 მრეწველები, 1 აღორძინება, 1 ახლები, 1 სოციალისტები და 2 დამოუკიდებელი კანდიდატი - ყოფილი მერი ლაშა მინდელი და საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე როლანდ მგალობლიშვილი. მათ ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს. მესამე ადგილი კი მეტალურგიული კომბინატის დირექტორს ნოდარ ლევამბერიას ერგო.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კახა გურგენიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არ-



ჩევნები მაჟორიტარული წესით მიმდინარეობდა, მოსახლეობამ არჩევანი მაინც პარტიების მიხედვით გააკეთა. მან კომისიის მიერ გაწეულ შრომას ტიტანური უწოდა და აღნიშნა, რომ მათ თავიანთი ბერკეტების მაქსიმუმი გამოიყენეს. კითხვაზე, თუ რატომ იყვნენ კომისიის წევრები მთელი დღის განმავლობაში საკუთარი ოფისის ნაცვლად მერიის ერთ-ერთ კაბინეტში, გურგენიძემ განაცხადა: "საოლქო კომისიას უბრალოდ მოგვიწია სულ სხვა ადგილას ამ საქმეების კეთება, იმის გამო, რომ საოლქო კომისიის წინ უამრავი ხალხი იკრიბებოდა და ტარდებოდა აქციები. გარდა ამისა, მოულოდნელად საეჭვოდ გამოგვერთო ოფისში არსებული ორივე ტელეფონი და შუქის პრობლემაც შეგვექმნა."

კი არავინ იცოდა. მერიის შენობაში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა ხშირი შესვლა-გამოსვლა კიდევ უფრო აძლიერებდა ეჭვს, რომ შენობაში რაღაც ისეთი ხდებოდა, რასაც საგულდაგულოდ მალავდნენ.

შემთხვევითობამ საიდუმლოს ნაწილობრივ ახადა ფარდა. მერიის აპარატის უკვე მერამდენედ "დალაშქვრის" შემდეგ კარი მოულოდნელად გაიღო. ოთახის სიღრმეში, მაგიდასთან საოლქო კომისიის ერთ-ერთი წევრი იჯდა და წინ ქაღალდები ჰქონდა გაშლილი. კარის გამღებმა უცნობმა მამაკაცმა სასწრაფოდ შეცდომის გამოსწორება და კარის დახურვა სცადა.

- კახა გურგენიძე გვინდოდა...
- არ არის, გასულია.
- კომისიის წევრები ხომ არიან? სხდომა რომელ საათზე ჩატარდება?
- კომისიის წევრები აქ არ არიან, მე კომისიის წევრი არა ვარ... - კარი სასწრაფოდ დაიხურა.

საოლქო საარჩევნო კომისია მთელი დღით მიტოვებულ ოფისში ღამით, ვადის ამოწურვამდე 15 წუ-

გუშინ საოლქო საარჩევნო კომისიის წინ პოლიციელთა გარდა არავინ იმყოფებოდა. მიტოვებულ ოფისში შუქი მთელი დღის განმავლობაში იყო. ხოლო სად მოუწია საოლქო კომისიას თავისი საქმის კეთება, ამის დაკონკრეტება კახა გურგენიძემ არადა არ ისურვა.

# არჩევნები დასრულდა, ახლა დანიშვნები იწყება

თამარ მჭედლიშვილი

*სულ მალე საქართველოს რაიონებს საკადრო დანიშვნების ტალღა მოიცავს. მას მერე, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე ოფიციალურად ამცნობს საზოგადოებას ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნების დასრულებას, საქმეში პრეზიდენტი ჩაერთვება. საკადრო ორომტრიალიც სწორედ მაშინ დაიწყება.*

საქართველოს პარლამენტის მეცადინეობით, რაიონების გამგებლებს პირდაპირი არჩევის წესი არ შეეხოთ. ფაქტობრივად, მეორე დონის, ანუ რაიონული საკრებულოები, სოფლების, დაბებისა და თემების საკრებულოების თავმჯდომარეებმა უნდა დააკომპლექტონ. პრეზიდენტი რაიონების გამგებლებს სწორედ მათი შემადგენლობიდან დანიშნავს.

პარლამენტის მიერ შემოღებული ნოვაციის წყალობით, საქართველოს ყველა რაიონის გამგებელმა მონაწილეობა მიიღო საკრებულოების არჩევნებში. მათი ნაწილი საინიციატივო ჯგუფების მიერ იყო წარდგენილი და დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით სარგებლობდა. თუმცა, რეალურად, მათ ზურგს ადგილობრივი ხელისუფლება უმაგრებდა. ასე მოხდა კახეთში, შიდა ქართლში, გურიაში... თითქმის ყველა ყოფილი გამგებელი დღეს პირველი დონის საკრებულოს წევრია. ახლა მთავარია, ისინი კოლეგებმა თავმჯდომარეებად აირჩიონ, რათა მომავალში გამგებლად დანიშვნის შანსი გაუჩნდეთ. რაც შეეხება პროცედურას, პრეზიდენტს გამგებლობის კანდიდატი მხარეში საკუთარმა რწმუნებულმა უნდა წარუდგინოს.

თუმცა, გამგებლობისთვის ბრძოლა იოლი ნამდვილად არ იქნება. თბილისში შედარებით წარუმატებელი "ასპარეზობის" მიუხედავად, ორ პარტიას – "ახალ მემარჯვენეებსა" და "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" -- რაიონებთან დაკავშირებით, საკმაოდ დიდი პრეტენზიები აქვთ.

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე;

**"თუ მთლიანად საქართველოს ავიღებთ, ჩვენ, აშკარად, გავიმარჯვეთ. საერთო პროცენტის დათვლა ძალზე რთულია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ადგილობრივ საკრებულოებში ჩვენგან დაახლოებით 800 კაცია გასული. ეს ბევრად აღემატება სხვა პარტიების მიერ გაყვანილი კანდიდატების საერთო ჯამს და, დაახლოებით, იმდენია, რაც ყველა პარტიის წარმომადგენელს პლუს დამოუკიდებელი კანდიდატები. 15-17 რაიონში ჩვენს პარტიას არჩევნები აშკარა უპირატესობით აქვს მოგებული. ბუნებრივია, აქ ჩვენ საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები გვექნება. სამეგრელოს 6 რაიონში, აგრეთვე: გორში, გურჯაანში, კასპში, ბორჯომში, ადიგენში, ახალციხეში, ხონში აუცილებლად გვეყოლება გამგებლობის კანდიდატები".**

რომან გვენცაძე – "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"

**სხვადასხვა რაიონში ძალიან კარგი შედეგები მივიღეთ. რამდენიმე რაიონში გამგებლის ყოლის პრეტენზია გვექნება. მაგალითად, შიდა ქართლში..."**

სხვა პარტიებს შედარებით მოკრძალებული ამბიციები აქვთ. რაც შეეხება ლეიბორისტებს, მათ, ტრადიციულად, მცხეთა-მთიანეთში იმძლავრეს. სხვათა შორის, ყოფილი გუბერნატორი კობა ბუჩუკური კატეგორიულად ამტკიცებს, რომ პრეზიდენტის ახალი რწმუნებული არმაზ შამანაური, ამ ბოლო დროს, ერთობ დაუმეგობრდა შალვა ნათელაშვილს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, წარდგინებები სწორედ ნათელაშვილის გუნდის წარმომადგენლებზე გაკეთდება და მთიანეთი, ალბათ, საბოლოოდ გალეიბორისტდება.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ნათელაშვილი სააკაშვილის წინასაარჩევნო ლოზუნგს უერთდება

პირველი გვერდიდან

ასე რომ, აშკარად მტრულად განწყობილი "ახლების" გარდა, ზოდელავასათვის, თვით სააკაშვილის ჩათვლით, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ყველა მეტ-ნაკლებად მისაღები კანდიდატურაა.

"მემარჯვენეების" სასარგებლოდ ჩაწყობილი კარტების არევა პირველად ლეიბორისტმა ავთანდილ ტყებუჩავამ დაიწყო, როცა თითქმის დაუპირისპირდა პარტიის ლიდერს და "ახლებთან" მოსალოდნელი მოლაპარაკება გააპროტესტა.

ტყებუჩავაზე ზოდელავას გავლენაზე დღეს ბევრი ლაპარაკობს. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ პროტესტით ის ქალაქის მერის დავალებას ასრულებდა. თუმცა ლოგიკა, რომელიც ტყებუჩავამ თავის პროტესტში ჩადო, სავსებით გასაგებია - რატომ უნდა დაუთმოს 15-კაციანმა ლეიბორისტულმა ფრაქციამ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი "ახლების" 7 კაციან ფრაქციას და თუ მოლაპარაკებაა აუცილებელი, რატომ მხოლოდ და მხოლოდ "ახლები" და არა 14 ადგილით გასული "ნაციონალისტები"?

ფორმულირება - "რატომ მაინცადამაინც ახლები", ნათელაშვილისთვის აშკარად გამოწვევა და პროვოკაცია იყო. ლეიბორისტების მოუსყიდველ ლიდერს უნდა დაემტკიცებინა, რომ ის მხოლოდ "ახალ მემარჯვენეებს", ანუ, მათი საშუალებით, მხოლოდ ხელისუფლებას არ სთავაზობს თანამშრომლობას. ამიტომაც გაჩნდა საპასუხო ფორმულირება - "ჩვენ საკრებულოს თავმჯდომარეობას ნაციონალისტებსაც შევთავაზებთ, თუ ისინი პასუხისმგებლობას აიღებენ."

გუშინდელ პრესკონფერენციაზე კი ნათელაშვილმა ბოლომდე გაშიფრა თავისი მოტივაცია - **"ჩვენ ღიად დავუჭერთ ნაციონალურ მოძრაობას მხარს, რომ არ ვათქმევონოთ ზოგიერთებს, თითქოს საკრებულოში ახალ მემარჯვენეებს ვლობირებთ."**





ეს განცხადება კობა დავითაშვილის გუშინდელი განცხადების საპასუხო იყო, რადგან დავითაშვილი მთავარი ლეიბორისტისგან საბოლოო პოზიციის დაფიქსირებას ითხოვდა.

ნათელაშვილმა თავისი გადაწყვეტილება საბოლოოდ გუშინდელ პრესკონფერენციაზე დაადასტურა და სააკაშვილს, თავის მხრივ, ულტიმატუმი წაუყენა, რომ მომდევნო დღის სამ საათამდე თუ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, ის ამ პოსტზე კანდიდატურას საკუთარი პარტიიდან წამოაყენებდა.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერს მოსაფიქრებლად 20 საათი არ დასჭირვებია. ის არც პარლამენტიდან წასვლაზე ამბობს უარს.

საკანონმდებლო ორგანო უკვე გადაიქცა სრულიად პარალიზებულ სტრუქტურად, რის გამოც იქ პოლიტიკური აქტიურობა აზრს კარგავს. სამაგიეროდ, საკრებულო მეტ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს და იქ განხორციელებული კონკრეტული ნაბიჯები წინა საარჩევნოდ კონკრეტულ არგუმენტებად იქცევა.

ასე რომ, სააკაშვილისთვის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი ლეიბორისტთა ლიდერის შემოთავაზების შემდეგ ისევ გარკვეულ ხიბლს იძენს. თუმცა წაგებული ის არც იმ შემთხვევაში რჩება, თუ ნათელაშვილმა თავისი წინადადება უკან წაიღო და, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტთან ერთად, დეპუტატობის მანდატის გარეშეც დარჩა.

სამაგიეროდ, ასეთ შემთხვევაში, საკმაოდ ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდება თავად ნათელაშვილი, რადგან ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი მისი ოპონენტებისთვის ყველაზე სერიოზულ არგუმენტად იქცევა.

## ლეიბორისტები საკრებულოს თავმჯდომარედ სააკაშვილს ირჩევენ

ლიკა კობალაძე

**"გამოვდივართ რა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, პოსტს, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა, მიხეილ სააკაშვილს ვუთმობთ, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ტალახისა და ლაფის სროლის მეტი არაფერი მიგვიღია (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ პლაგიატობაზე, რაც მათ ჩაიდინეს),"** – განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე შალვა ნათელაშვილმა, თან იქვე დასძინა, რომ ბუნებრივი იყო, საკრებულოს თავმჯდომარე მათი რიგებიდან არჩეულიყო, ვინაიდან მათ დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. ნათელაშვილმა სააკაშვილს გადაწყვეტილების მიღების უკანასკნელ ვადად 14 ივნისის დღის სამი საათი დაუთქვა.

**"ზოგიერთებს არ ვათქმევინებთ, რომ, თურმე, შეიძლებოდა თბილისის გადარჩენა, ეს შეეძლო მიხეილ სააკაშვილს და მას ხელი ლეიბორისტებმა შეუშალეს,"** – აცხადებს გამარჯვებული პარტიის ლიდერი. ნათელაშვილის თქმით, თუ იგი დაინახავს, რომ სააკაშვილი ლობირებს "ეი-ი-ეს თელასს," იგი აუცილებლად ამხელს მას და ნაციონალების ლიდერს, მამა-მარჩენალ შევარდნაძესთან ერთად, დანაშაულებრივი კომპანიის მფარველობაში ხელს შეუშლის.

გუშინდელ ბრიფინგზე ლეიბორისტების ლიდერმა ქვეყანაში კონსტიტუციური, მშვიდობიანი რეფორმების გზით, მმართველობის მოდელის შესაცვლელად შეგროვილი 211 ათასი ხელმოწერა წარადგინა. თუ პარლამენტი ლეიბორისტების მიერ წარდგენილ კანონპროექტს მხარს დაუჭერს, ქვეყანაში სულ მალე ვადამდელი საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩატარდეს.

ლეიბორისტების ლიდერმა ასლან აბაშიძესთან შეხვედრაზეც ისაუბრა. იგი ფიქრობს, რომ ერის ჭრილობებს მოაშუშებს მხოლოდ გაერთიანება და არა ამ ბოლო დროს ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ურთიერთკინკლაობა, ლანძღვა და შური.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი ლეიბორისტებთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვისაა განწყობილი. შალვა ნათელაშვილის ულტიმატუმთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: **"ჩვენი ბლოკის პოლიტიკური გადაწყვეტილების თანახმად, ვიღებთ ლეიბორისტების წინადადებას, თუმცა გვესმის, რომ ამ თანხმობით გარკვეულ პოლიტიკურ რისკზე მივდივართ. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობა დიდი არაფერი თანამდებობაა, ჩვენი ამომრჩევლების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი პროგრამის განხორციელების ნებისმიერ შანსს გამოვიყენებთ."**

## ჟვანია დემოკრატებს აერთიანებს

თამარ მჭედლიშვილი

*მომავალ ორშაბათს ზურაბ ჟვანიას გუნდს უკვე ახალი სტატუსი ექნება. "გაერთიანებული დემოკრატები" – ასე დაერქმევა პარტიას, რომლის დამფუძნებელი ყრილობა ფილარმონიაში გაიმართება.*

ჯერჯერობით, ახალი გაერთიანება იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებული არ არის. თუმცა, როგორც პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი რომან კუსიანი აცხადებს, **"ფორმალური საკითხები უახლოეს პერიოდში მოგვარდება".**

სექტემბრისთვის პარტიის დამფუძნებლები პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესის დასრულებას გეგმავენ. როგორც რომან კუსიანი აცხადებს, ჯერჯერობით მათ ვერ მოახერხეს რეგიონებში საკუთარ მხარდამჭერებთან აქტიური კონსულტაციების გამართვა, **"თუმცა, ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა და მალე ეს პრობლემაც მოგვარდება".**

პარტიის პლატფორმაზე მუშაობა უკვე ამ კვირაში დასრულდება. სავარაუდოდ, "გაერთიანებული დემოკრატები" ცენტრისტები იქნებიან, პარტიის თავმჯდომარე კი ზურაბ ჟვანია გახდება.

## რევაზ ადამიას გაეროში ელჩობისთვის ამზადებენ

გიორგი ასანიშვილი

*გაეროში საქართველოს ელჩის ვაკანტურ თანამდებობას, როგორც ჩანს, პარლამენტარი რევაზ ადამია დაიკავებს. ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილ ლიდერს ამის თაობაზე უკვე ჰქონდა საუბარი ქვეყნის პრეზიდენტთან და, როგორც თავად აცხადებს, ედუარდ შევარდნაძე მის კანდიდატურას უახლოეს დღეებში წარუდგენს პარლამენტს. რევაზ ადამია, რომელიც ბოლო დროს გაჩაღებულ მწვავე პარტიულ ბატალიებში არ მონაწილეობდა და ერთგვარად ჩრდილში იდგა, მიიჩნევს, რომ მთავარი, მის პერსონაზე არჩევანის შეჩერებაში, მისი გამოცდილება და პროფესიული თვისებები აღმოჩნდა.*

რაც შეეხება პოლიტიკური არენიდან დროებით გაუჩინარებას, პარლამენტარის განცხადებით, ამის მიზეზი ის იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში ჯერ ევროსაბჭოს ფორმატით მუშაობდა, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა.

რევაზ ადამია თავს იკავებს იმის პროგნოზირებისგან, დაუჭერს თუ არა პარლამენტი მხარს მის კანდიდატურას, მაგრამ ელჩად დამტკიცების შემთხვევაში, საზოგადოებას ჰპირდება, რომ გაეროში მუშაობისას, მისთვის პრიორიტეტული მიმართულება აფხაზეთის საკითხი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ რევაზ ადამია ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრად მოიაზრება, ამ გუნდს კი ბოლო პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე მრავალი პრობლემა შეექმნა, თითქმის ყველა – მომხრეებიც და ოპონენტებიც - ხაზგასმით აღნიშნავს ელჩობის კანდიდატის დადებით პიროვნულ თვისებებს, საქმის ცოდნასა და მისი კეთების უნარს, მაღალ კვალიფიკაციას ... და მაინც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარლამენტში წარმოდგენილი ზოგიერთი ძალა ყოველნაირად შეეცდება, ხელი შეუშალოს ნიუ-იორკში რევაზ ადამიას გამგზავრებას.



ბესო გულაშვილის ფოტო

ყოველ შემთხვევაში, ასეთ განწყობას არ მალავს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი.

**"თუ ეს არის ჯილდო იმისთვის, რომ, ყოფილი საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით გამართული შიდაპარტიული ბრძოლის დროს, რეზო ადამია გამოკვეთილად არავის მხარეზე არ დამდგარა, მაშინ მე ვიტყოდი, რომ გაეროში ელჩობა ის თანამდებობა არ არის, კარგი საქციელისთვის ვინმეს ორდენივით რომ გადასცენ. ზოგმა შეიძლება თქვას, რომ შევარდნაძის მხრიდან ეს სწორი სვლაა და მას არ სურს, ჟვანია-სააკაშვილის გუნდთან ურთიერთობა საბოლოოდ გაწყვიტოს, მაგრამ ამ გუნდთან პრეზიდენტის გაუთავებელი თამაში უკვე ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამდენად, ეჭვი მეპარება, რომ ჩვენმა ფრაქციამ ადამიას კანდიდატურას მხარი დაუჭიროს"**, - აცხადებს რჩეულიშვილი, რომელსაც ნაკლებად აღელვებს ის ფაქტი, რომ მისი პარტიული თანაბლოკელი, ფრაქცია "XXI საუკუნის" თავმჯდომარე ვახტანგ ბოჭორიშვილი მზად არის, ხმა მისცეს ოკეანის გაღმა რევაზ ადამიას გადაბარგებას.

**"ოღონდ, ერთი პირობით,** - აზუსტებს ბოჭორიშვილი, - **რეზო უნდა მოვიდეს ჩვენს ფრაქციაში და გვითხრას, საქართველოს სასიკეთოდ გაეროში რის გაკეთებას აპირებს**".

ტრადიციას არ ღალატობენ და რევაზ ადამიასთან მიმართებაშიც სათქმელს ბოლომდე არ ამბობენ ტრადიციონალისტები. **"პრეზიდენტ შევარდნაძის ასეთი გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი იყო. ისე, პოლიტიკაში და ადამიანებთან ურთიერთობებში, რეზო საკმაოდ გამოცდილია, მაგრამ ძნელი სათქმელია, ექნება თუ არა პარლამენტის მხარდაჭერა. სხვა თუ არაფერი, მისი გუნდი დღეს უმცირესობაშია. ფრაქციის წევრები შევიკრიბებით და გადავწყვეტთ, როგორი პოზიცია დავიკავოთ"**, - გადაჭრით არაფერს ამბობს ფრაქცია "ტრადიციონალისტის" ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე.

ჯერჯერობით ორჭოფობენ ფრაქცია "ახალი აფხაზეთი – ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენლებიც. **"რეზო გაწონასწორებული პიროვნებაა, რომელსაც თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია. პირადად მე მხარს დავუჭერდი მის კანდიდატურას, მაგრამ ფრაქციის სახელით ვერაფერს ვიტყვი, მოვიფიქრებთ და გადავწყვეტთ,"** - შალამბერიძის მსგავსად, ვერდიქტის გამოტანას აყოვნებს ფრაქცია "ახალი აფხაზეთის" თავმჯდომარის მოადგილე ანზორ წოწონავა.

მათგან განსხვავებით, რევაზ ადამიას მიმართ მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს ფრაქცია "ალიანსი – ახალი საქართველოსთვის" თავმჯდომარეს ირაკლი გოგავას. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს (ერთი შეხედვით), პროშევარდნაძისტული ძალების ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფიგურა ღიად უჭერს მხარს ჟვანიას გუნდის წარმომადგენელს. თუმცა, ეს გაოცება უმალ გაქრება, როდესაც გაიხსენებთ, რომ გაეროში რევაზ ადამიას წარგზავნის ინიციატივა თავად პრეზიდენტისგან მომდინარეობს.

გოგავას თქმით, რევაზ ადამიას, მართალია, ბევრი მეგობარი ჰყავს ჟვანიას გარემოცვაში, მაგრამ შევარდნაძესთან დაპირისპირების საკითხში, ეტყობა, მათგან განსხვავებული პოლიტიკური ხედვა გააჩნდა, ამის გამო დისკომფორტს განიცდიდა და თამაშიდან გასვლა სურს, რათა პოლიტიკურ ორომტრიალს გაერიდოს.

**"რეზო ღირსეული კანდიდატია და ამდენად, პრეზიდენტის განზრახვა მხარდასაჭერია. ჩვენი ფრაქცია ადამიას კანდიდატურას პრობლემებს არ შეუქმნის",** - დასძენს "ალიანსის" ხელმძღვანელი.

როდესაც პოლიტიკური ოპონენტების ნაწილი იძულებულია, რომ თუნდაც თავისი შინაგანი ნების საწინააღმდეგოდ, რევაზ ადამიას მაინც აღუთქვას მხარდაჭერა, გასაკვირი აღარ უნდა იყოს მომავალი ელჩის თანაგუნდელების ერთსულოვნება და თანადგომა. მაგალითად, გიორგი ბარამიძე არ მალავს, რომ გაოცებული დარჩა, როდესაც ადამიას კანდიდატურაზე სერიოზულ წრეებში დაიწყეს საუბარი:

**"საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობისა თუ თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე მუშაობის თვალსაზრისით, რეზოსნაირი ადამიანები საქართველოში ძნელად მოიძებნებიან და შესაძლოა, პრეზიდენტმა სწორედ ამიტომ შეაჩერა მასზე არჩევანი"**, - აღნიშნავს ბარამიძე.

მართალია, თავად რევაზ ადამია ჩემოდნების ჩაბარგებას არ ჩქარობს და აპირებს, მშვიდად დაელოდოს კოლეგების გადაწყვეტილებას, მაგრამ, პარლამენტში პრეზიდენტის გავლენის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. თუმცა, "თითქმის" გარანტია არ არის – ახლო წარსულიდან იმის გახსენებაც შეიძლება, თუ როგორ შეგნებულად წარუგზავნია შევარდნაძეს პარლამენტში ესა თუ ის პერსონა ჩასაძირად.

# კოალიცია ნოღაიდელის წინააღმდეგ

სოფო კვინტრაძე

*კონტროლის პალატამ, 1999 წლის აპრილიდან 2001 წლის ივლისამდე, ფინანსთა სამინისტროში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. ეს პერიოდი ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობას ემთხვევა. ორი წლის განმავლობაში კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფი ფინანსთა სამინისტროში ამოწმებდა სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა-შესრულებას, ბიუჯეტგარეშე სახსრების მიღებას და გამოყენებას. კონტროლის პალატის დადგენილებაში ნათქვამია, რომ შემოწმებამ სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებები გამოავლინა. თუმცა, კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე ზურაბ ნოღაიდელის სახელის ხსენებაც კი არ ყოფილა.*

ფინანსთა სამინისტროში ჩატარებული შემოწმების შესახებ მოხსენება კონტროლის პალატის მთავარმა კონტროლიორმა ბიბა ფერაძემ წაიკითხა. მისი განცხადებით, ფინანსთა სამინისტროში არ არსებობს ბიუჯეტის ფორმირების სწორი და ჩამოყალიბებული პოლიტიკა, რის შედეგადაც არასწორად მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშება. კონტროლის პალატის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ხარჯების ნაწილი არარეალურად დაიგეგმა და სუბიექტურად გადანაწილდა. თუმცა, დადგენილებაში არ არის მითითებული, თუ ვისი სუბიექტური ინტერესები იქნა გათვალისწინებული აღნიშნული თანხების განკარგვისას.

გარდა ამისა, კონტროლის პალატაში მიიჩნიეს, რომ **"ფინანსთა სამინისტროს მიერ გატარებული სატრანსფერტო პოლიტიკა არაეფექტურია. ტრანსფერტები გადაცემულია არათანაბრად, ამასთან, რაიონთა უმეტესობაში ტრანსფერტები გამოყენებულია არამიზნობრივად, საკუთარი შეხედულებებისამებრ, ზოგჯერ ხელფასებისათვის განკუთვნილი ტრანსფერტები მიმართულია კაპიტალური და სხვა ხარჯებისათვის".**

პალატის დადგენილება შეეხო საგარეო საკრედიტო რესურსებიდან შიდა სესხების სახით გაცემული თანხებისა და დავალიანებების საკითხსაც. როგორც აღმოჩნდა, ამ თანხების საერთო რაოდენობა 2001 წლის 1 ივლისათვის 133,2 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. 1994 წელს თურქეთის "ექსპორტ-კრედიტ-ბანკსა" და საქართველოს "ექსპორტ-იმპორტ-ბანკს" შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, სესხები გაიცა შემდეგ ორგანიზაციებზე - შპს "კოკა-კოლა", რუსთავის ცემენტის ქარხანა, სს "არაგვი", შპს "ფარი და კო", შულავერის მატყლის ფაბრიკა, ვაჭრობის სამინისტრო, კავშირგაბმულობის სამინისტრო და პურპროდუქტების კორპორაცია. თუმცა, მათ მიერ ვალის დაბრუნების პროცესი ერთობ გაიწელა. კონტროლის პალატაში აცხადებენ, რომ არც ფინანსთა სამინისტროს გამოუყენებია კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები, რომლის მიხედვითაც სამინისტროს უნდა განეხორციელებინა ღონისძიებები, სახსრების საბანკო ანგარიშებიდან უპირობო ჩამოწერიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებით მოვალის ქონების ჩამორთმევის ჩათვლით.

კონტროლის პალატამ სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა ფინანსთა სამინისტროს აპარატის შემოწმებისასაც. კერძოდ, გაირკვა, რომ თანამშრომელთა გარკვეულ ნაწილს არა აქვს შევსებული საშემოსავლო დეკლარაციები, აგრეთვე, არასწორადაა ანაზღაურებული სამივლინებო ხარჯები, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯები ნორმის ზემოთაა დახარჯული.

საბოლოო ჯამში, - მითითებულია პალატის დადგენილებაში, - ფინანსთა სამინისტროში გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ განაპირობა წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შეუსრულებლობა.

კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა ფინანსთა სამინისტროს საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და იქვე ისიც დაუმატა, რომ **"თუკი არსებობს რაიმე სიტყვა არადამაკმაყოფილებელზე უარესი, მე მომხრე ვარ, იმ სიტყვით შევაფასო ფინანსთა სამინისტროს საქმიანობა".**

პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე კონკრეტული "დამნაშავეების" გვარები არ დასახელებულა. სულხან მოლაშვილმა ზურაბ ნოღაიდელის ღია კრიტიკა გადაიფიქრა. ამის გამო, ყოფილი ფინანსთა მინისტრის ცუდ კონტექსტში მოხსენიებას, მით უფრო მოერიდნენ პალატის გაცილებით დაბალი რანგის ჩინოვნიკები.

მოლაშვილმა ანტიკორუფციულ საბჭოს თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, კონტროლის პალატის მიერ მოკვლეული მასალები ანტიკორუფციულ საბჭოს უნდა გადაეცეს, რათა ამ უკანასკნელმა შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს.



*სულხან მოლაშვილი ზურაბ ნოღაიდელის ღია კრიტიკას მოერიდა*

ალექსანდრე კარტაშიანის ფოტო

# მთავრობამ აქციონერები უნდა დაიცვას

ყოველწლიურად საქართველოს საფონდო ბირჟაზე 12-15 მლნ. ლარის გარიგება ხდება. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტი ამ მაჩვენებლით უკმაყოფილოა. გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას ჯიბუტმა განაცხადა, რომ შესაძლებელია გარიგებების 60-80 მლნ. ლარამდე გაზრდა.

დღეს საქართველოში 1700 სააქციო საზოგადოებაა. 1000-მდე აქციონერს ხუთი პროცენტი ან მეტი აქვს. ფასიანი ქაღალდების კომისიის წინაშე ანგარიშვალდებულია 415 სააქციო საზოგადოება. მათ ან 100-ზე მეტი აქციონერი ჰყავთ, ან ბირჟაზე ყიდიან საკუთარ აქციებს.

კომიტეტის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ჯიბუტის წინამორბედმა - რობერტ სინგლეტერმა, რომელსაც კომისიის თავმჯდომარის პოსტი ამ სამსახურის შექმნის დღიდან ეკავა. "მასობრივი პრივატიზაციის შედეგად საქართველოში 500 ათასი აქციონერი გაჩნდა. მთავრობა მოსახლეობას დაპირდა, რომ მათ აქციებს რეალური ფასი ექნებოდა. ამ დაპირების შესრულება აუცილებელია", - განაცხადა რობერტ სინგლეტერმა. მისი თქმით, აუცილებელია ეს აქციები ლიკვიდური გახდეს, ამისათვის კი ფასიანი ქაღალდების ბაზარი უნდა განვითარდეს. "ხალხს კაპიტალის ბაზრის რწმენა უნდა გააჩნდეს, რადგან ერთ ცუდ შემთხვევას მდგომარეობის გაუარესება შეუძლია", - აღნიშნა კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ და დასძინა, რომ ხელისუფლებამ აქციონერთა უფლებები უნდა დაიცვას.

# კორუფცია ბიზნესის მართვას აფერხებს

საქართველოს უცხოური ინვესტიციების საბჭოსთან, პრეზიდენტის განკარგულებით, ინვესტორებთან მომუშავე კომისია ჩამოყალიბდა, რომელმაც გუშინ პირველი სხდომა გამართა. კომისიის შემადგენლობაში არიან საქართველოში მომუშავე საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილია, რომელმაც აღნიშნა, რომ კანონიერი ბიზნესისთვის ხელის შეშლა არც ერთ სახელმწიფო მოხელეს არ უნდა ეპატიოს. მისი თქმით, ამისთვის ჩინოვნიკებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ. კომისიის სხდომაზე უარყოფითად შეფასდა საქართველოში არსებული ბიზნეს-გარემო, რომელიც ხელს უშლის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში. უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო სამსახურის მოხსენების მიხედვით, რომელიც საქართველოს მთავრობის თხოვნით მომზადდა, ნათქვამია, რომ "საქართველოში გავრცელებული კორუფცია მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყანაში ბიზნესის მართვას, რადგანაც ბიზნესის ღირებულება და მასთან დაკავშირებული რისკი მნიშვნელოვნად იზრდება".

# საუკეთესო კომპანიები

გუშინ რესტორან "სარაჯიშვილში" 2001 წლის საუკეთესო კერძო და სახელმწიფო კომპანიები გამოვლინდნენ. "თიბისი-ბანკი" და "საქართველოს რკინიგზა" კონკურსში მონაწილე 22-მა კომპანიამ ფარული კენჭისყრით გამოავლინა. მთავარი პრიზების გარდა, 20-მდე სხვა ნომინაციაში ყველაზე მეტი ჯილდო კომპანია "მაგთიკომმა" მოიპოვა, რომელსაც პრეზიდენტ შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე ხელმძღვანელობს.

ბიზნესმენთა რეიტინგი მედიაჰოლდინგმა "ჯორჯიან თაიმსმა", სოციოლოგიურ კომპანია "გორბისთან" ერთად ჩაატარა.

# ვინ რას ლობირებს საქართველოში

## სუპერცემენტის წარმოება ქართველმა ბიზნესმენმა ბაქოში გადაიტანა

მანანა ხიდაშელი

მაკონტროლებლების უზომო რაოდენობისა და საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის გამო, მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანზორ საგანელიძემ საკუთარი ბიზნესი ბაქოში გადაიტანა (მან სპეციალური დანამატი გამოიგონა, რომელიც ცემენტს საგრძნობლად ამაგრებს). როგორც გაირკვა, სწორედ ამ დანამატის დამსახურებაა ის, რომ თბილისში მომხდარი მიწისძვრისას სამების ტაძარს ბზარი არ გასჩენია. **"პრეზიდენტმა საგანგებოდ გადამიხადა მადლობა ამის გამო, მაგრამ მაკონტროლებლებმა და საგადასახადომ იმ ზომამდე მიმიყვანეს, რომ ცემენტს ამ უნიკალური დანამატით ახლა ბაქოში ვუშვებ",** - განაცხადა საგანელიძემ.

მაკონტროლებლების განუსაზღვრელი უფლებების მსხვერპლი კიდევ ერთი კომპანია გახდა. მცირე სამეწარმეო კომპანია "მაკროკომში", რამდენიმე დღის წინ, უშიშროების სამინისტროში არსებული ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ჩხატარაშვილი შემოწმების მიზნით შევიდა. როგორც "მაკროკომის" დირექტორს ანდრო გაბისონიას განუმარტეს, მისი კომპანია მონოპოლისტებს აგდებს ბაზრიდან. ცნობისთვის: "მაკროკომი" საკომუნიაკაციო ბაზარზე 0,05 პროცენტის მფლობელია. ანდრო გაბისონიამ დასახმარებლად ანტიკორუფციულ ბიუროს მიმართა. კომპანიიდან უშიშროების უკანონო შემოწმების შეწყვეტა მხოლოდ ანტიკორუფციული საბჭოს ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ახლა უშიშროება აცხადებს, რომ საქმე შეწყვეტილია. თუმცა, გაურკვეველია, რატომ შეწყდა გამოძიება, თუ იგი სამართლიანი იყო.

ამგვარი ფაქტები ქართულ ბიზნესში ბევრია, რაც მცირე, საშუალო და მსხვილ მეწარმეებს სამუშაო პირობებს უმძიმებს. ამიტომ საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელმა კახა უგულავამ, გუშინ მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები "მაკონტროლებელი ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნისა და კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" კანონპროექტზე სამსჯელოდ მიიწვია. დღეს მოქმედი კანონი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის მოწესრიგების მიზნით შეიქმნა, ამ სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ უზრუნველყოფს.

**"ხშირად ჩვენს მიერ შემუშავებული კანონპროექტები პარლამენტში მეორე და მესამე მოსმენისას ისე იცვლება, რომ პროექტი მთლიანად კარგავს ანტიმონოპოლიურ ეფექტს. მეწარმეებისა და ამ სფეროს ექსპერტების მხარდაჭერა იმისთვისაც გვჭირდება, რომ ეს აღარ გამეორდეს",** - აცხადებს უგულავა და სამომავლოდ ამ მოსმენებისას გაკეთებული განცხადებების გამოთხოვას აპირებს, რათა ანტიკორუფციულმა საბჭომ შეძლოს იმის გაანალიზება, თუ ვინ რას ლობირებს.

საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბევრი მაკონტროლებელი ორგანო საერთოდ გასაუქმებელია, რადგან ისეთ სფეროებს აკონტროლებენ, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ უნდა მოწმდებოდეს. ასეთად უგულავამ ფასების ინსპექცია დაასახელა. მისი აზრით, ეს ორგანო კომუნისტებისდროინდელი გადმონაშთია და დღეისათვის მისი არსებობა არ არის აუცილებელი. **"ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სად სჭირდება ბიზნესმენს სახელმწიფოს ჩარევა. რაც ზედმეტია, ის ბიზნესს უნდა მოვაცილოთ, თანაც, რაც შეიძლება, მალე."** - განაცხადა მან.

საქართველოს კანონებით მინიჭებული კონტროლის უფლებით დღეს, დაახლოებით, ოცდაექვსი ორგანო სარგებლობს. ხშირად ერთ საწარმოს რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანო ამოწმებს. ანტიკორუფციულ ბიუროში შეკრებილმა ბიზნესმენებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ეს ციფრი ხუთ-ექვსამდე უნდა შემცირდეს. თუმცა, მაკონტროლებელთა შემცირებაზე მეტად, ბიზნესმენები საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. **"კორუფციის ყველაზე დიდი წყარო საგადასახადო კოდექსია. თუ ის არ შეიცვალა, არაფერი გამოსწორდება. ჩვენ წარვადგენთ ახალ კოდექსს, ვნახოთ, დაუჭერენ თუ არა მას მხარს",** - აცხადებს ფრაქცია "მრეწველების" წევრი ზურაბ ტყემალაძე.

საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროში საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ შეიქმნება მეწარმეთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ითანამშრომლებს ანტიკორუფციულ საბჭოსთან და დაგროვილ პრობლემებზე რეგულარულად იმსჯელებს.

# არის თუ არა ლარი კონვერტირებადი

ეკა ლეჟავა

*საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულებასთან მიერთებამ, ქართული ლარის ფორმალური კონვერტირებადობა განაპირობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტის გაცვლის უნარი შეუზღუდავია, როგორც რეზიდენტების, ასევე არარეზიდენტებისათვის.*

ლარის შვიდწლიანი ისტორია ცალსახად ადასტურებს, რომ იგი ნამვილად კონვერტირებადი ვალუტაა, თუმცა, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მერაბ კაკულიას განცხადებით, მისი კონვერტირებადობა, ძირათადად, მხოლოდ ქვეყნის საზღვრებით შემოიფარგლება. საზღვარგარეთ კი ლარის კონვერტირებადობას ფორმალური ხასიათი აქვს. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, იურიდიულად არაფერი უშლის ხელს იმას, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც - რუსეთში, გერმანიასა და საფრანგეთში - ლარი შეუზღუდავად შეიძინონ, მაგრამ ეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან ამ ქვეყნების სავალუტო ბაზრებზე არ არსებობს ლარზე მოთხოვნა და შესაბამისად, არ ხდება სხვა ვალუტებთან მისი კურსის დადგენა.

საქართველოს ეროვნული ვალუტა გარე კონვერტირებადი რეალურად მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც იგი ქვეყნის ფარგლებს გარეთ უცხოური ვალუტის სტატუსს შეიძენს. ეს პროცესი პასიურად, მაგრამ, შეიძლება ითქვას, დაწყებულია. საქართველოს მეზობელი ქვეყნის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი, სასაზღვრო ზოლში, დღეისათვის არსებობს ლარზე მოთხოვნა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობა გასცდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ საზღვრებს, თუმცა, მერაბ კაკულიას შეფასებით, ლარი ჯერ კიდევ შორს არის სრულფასოვანი გარე კონვერტირებადობისაგან, რომლის მიღწევაც ექსპორტის ზრდის, საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაში საქართველოს სრულყოფილი ჩართვისა და ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების აქტიური მოდინების ხარჯზე უნდა მოხდეს.

ეროვნული ბანკის ექსპერტთა თქმით, საქართველოს 2002 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული და რომლის ჩამოყალიბებაც საბაზრო მექანიზმებს დაეფუძნება. ამასთან, ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშემწყობი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისათვის წინა პლანზე წამოიწევს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის რეალური გაცვლითი კურსების დინამიკა.

# "ეი-ი-ეს თელასი" დაჩაგრეს

სოფო კვინტრაძე

"ენერგოგადაცემამ" გაფრთხილების გარეშე გამორთო "ეი-ი-ეს თელასის" ექვსი ქვესადგური, რის გამოც გუშინ თბილისში 120 000 მომხმარებელი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა აღნიშნულთან დაკავშირებით "24 საათის" საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტები მიიწვია. ირიბარენის განცხადებით, "ენერგოგადაცემის" ქმედება უკანონოა და "ეი-ი-ეს თელასსა" და სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას არღვევს.

**"ეი-ი-ესს" "ენერგოგადაცემის" ერთი თეთრიც კი არა აქვს ვალი. მას შემდეგ, რაც თელასის პრივატიზება მოხდა, ჩვენ 58 მილიონი ლარი გადავუხადეთ "ელექტროგადაცემას", გასულ თვეში კი 800 ათასი ლარი გადავრიცხეთ მათ ანგარიშზე. "ეი-ი-ეს თელასი," სხვა კომპანიებთან შედარებით, თანამიმდევრული გადამხდელია, მაგრამ საქართველოში გადამხდელები უფრო დისკრიმინირებული არიან, ვიდრე არგადამხდელები",** - განაცხადა აღშფოთებულმა ირიბარენმა.

თელასის გენერალურმა დირექტორმა ისაუბრა, აგრეთვე, კომპანიის მიერ ენერგეტიკის სექტორში გაწეულ წვლილზე და მიუთითა, რომ "ეი-ი-ესმა" 275 მილიონი ლარი გადაუხადა საქართველოს ენერგეტიკას, თუმცა, ამაში არ შედის ის თანხები, რაც კომპანიამ თბილისის ენერგეტიკული ქსელის აღდგენაში დახარჯა. ირიბარენმა შეშფოთება გამოთქვა, თუ რატომ უნდა დაზარალდეს თბილისის მოსახლეობა "ელექტროგადაცემის" უპასუხისმგებლო საქციელის გამო, მით უმეტეს, ისეთ დროს, როცა თბილისელები მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატს ინტენსიურად ადევნებენ თვალს.




*იგნასიო ირიბარენი აცხადებს, რომ საქართველოში გადამხდელებს მეტად ჩაგრავენ.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 8-14 ივნისის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.679 | 0.6409 | 0.0054 |
| US$ | 1.4727 | | 0.9438 | 0.008 |
| €uro | 1.5603 | 1.0595 | | 0.0084 |
| ¥en | 184.66 | 125.39 | 118.36 | |

## 2002 წლის 14 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0928 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2630 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4279 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4369 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1766 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4564 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3811 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1659 ლარი |

# ამერიკის თავდაცვის მინისტრს თავისი სიტყვები უკან მიაქვს

პაკისტანის პრეზიდენტ მუშარაფთან მოლაპარაკების შემდეგ შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობას არ გააჩნია იმის საბუთი, რომ ქაშმირში ინდოეთის არმიის წინააღმდეგ “ალ-ქაიდას” მებრძოლები მოქმედებენ. ამით მან უარყო დელიში ადრე გაკეთებული თავისივე განცხადება, რომელიც ქაშმირში “ალ-ქაიდასა” და თალიბების ყოფნას ადასტურებდა. დელისგან განსხვავებით, ისლამაბადში რამსფელდი აცხადებს, რომ ტერორისტები ქაშმირში კიდევაც რომ გამოჩნდნენ, მათ პაკისტანის მთავრობა გაუსწორდება.



*პერვეზ მუშარაფი და დონალდ რამსფელდი*

REUTERS

# ავღანური დემოკრატია: პუშტუნი პრეზიდენტი, ტაჯიკი ვიცე-პრეზიდენტი და უზბეკი მოსამართლე

გიორგი ხელაშვილი

ავღანეთის სახალხო კრება – “ლოია ჯირგა” – საინტერესო სანახაობას წარმოადგენს. ერთმანეთის გვერდით ჩალმიანი მოლები, ტომების უხუცესები, ევროპულ კოსტუმებში ჩაცმული ყოფილი ემიგრანტი ავღანელები, ახლახან უფლებააღდგენილი ქალები და შეიარაღებული მოჯაჰედები სხედან. დარბაზი უფრო სამხედრო ბანაკს წააგავს, ვიდრე უხუცესთა სხდომას.

გუშინ მათი მთავარი მიზანი ავღანეთის სახელმწიფო მეთაურის არჩევა იყო.

23 წლის განუწყვეტელი სისხლისღვრის შემდეგ პირველად, დაპირისპირებული საველე მეთაურები და ტომის უხუცესები ერთად შეიკრიბნენ, რათა საერთო პრობლემებზე ემსჯელათ. კამათი უკიდურესად მწვავე აღმოჩნდა. შეკრებილები ძირითადად ორი მიზეზით იყვნენ უკმაყოფილონი – ჯერ ერთი, სახალხო კრებაზე საველე მეთაურებისა და მათი შეიარაღებული მცველების მოძალებით და, მეორეც, ავღანეთის ყოფილი მეფის, ზაქირ შაჰის ჩრდილში მოქცევით.

ტომის უხუცესები პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ საველე მეთაურები და ერთ დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი მოჯაჰედები, რომლებმაც ერთმანეთთან ბრძოლით ქვეყანა დანგრევამდე მიიყვანეს, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერაც წამყვან როლს ასრულებენ. უხუცესები ხვდებიან, რომ შეერთებული შტატები სწორედ ამ საველე მეთაურების ძალას ეყრდნობა და უკმაყოფილების გრძნობა უჩნდებათ.

მეორეს მხრივ, პუშტუნური უმრავლესობა თავს დაჩაგრულად გრძნობს იმის გამო, რომ მათმა ყოფილმა მეფემ, ზაქირ შაჰმა უარი განაცხადა ქვეყნის მეთაურობაზე და თანამდებობა ჰამიდ ქარზაის დაუთმო. ქარზაი კი ტაჯიკებისა და უზბეკების სამხედრო ძალას ეყრდნობა. მეტიც, პუშტუნი უხუცესები დარწმუნებულნი არიან, რომ ზაქირ შაჰის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაში ამერიკელთა ხელი ურევია.

მას შემდეგ, რაც ყოფილმა მონარქმა ზაქირ შაჰმა და ყოფილმა პრეზიდენტმა რაბანიმ უარი თქვეს თავიანთი კანდიდატურების წამოყენებაზე, გუშინ სახელმწიფო მეთაურის თანამდებობაზე სამი კანდიდატი დარჩა: თავად ჰამიდ ქარზაი, ქალთა საქმეების მინისტრი სიმა სამარი და მთავრობის ნაკლებად ცნობილი მოხელე მაფუზ ნედაეი.

ავღანეთის სახალხო კრებამ ქვეყნის დროებითი პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ქვეყნის მთავარი მოსამართლე უნდა აირჩიოს. წინასწარი შეთანხმებით, პრეზიდენტი ეროვნებით პუშტუნი უნდა იყოს, ვიცე-პრეზიდენტი - ტაჯიკი, ხოლო მოსამართლე - უზბეკი. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პუშტუნი პრეზიდენტი აუცილებლად ტაჯიკ და უზბეკ სამხედროებს უნდა დაეყრდნოს, გამოვა, რომ პუშტუნებით დასახლებული ავღანეთის მთელი ხელისუფლება ტაჯიკური და უზბეკური უმცირესობის ხელში ექცევა.

“ლოია ჯირგის” სხდომას ქარზაის მომხრე იშმაილ ქასიმიარი თავმჯდომარეობდა. თავად ჰამიდ ქარზაიმ შთამბეჭდავ გამოსვლაში განაცხადა, რომ ავღანელები, გაჭირვების მიუხედავად, სუვერენიტეტს არავის დაუთმობენ. ამ განცხადებას დარბაზი ხანგრძლივი ოვაციით შეხვდა. ქარზაიმ დაწვრილებით ილაპარაკა თავისი მთავრობის მიღწევებზე, რაც მილიონამდე ლტოლვილი ავღანელის სამშობლოში დაბრუნებაში, სკოლებისა და უნივერსიტეტების ხელახლა ამოქმედებასა და აღდგენის პროცესის დაწყებაში გამოიხატა. ქარზაი ხალხს დაპირდა, რომ შეებრძოლება კორუფციას და მტკიცე ხელით გააკონტროლებს ქვეყანაში შემოსულ უცხოურ დახმარებას.

ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა ჰამიდ ქარზაი თავისი დანაპირების შესრულებას ქვეყანაში, რომელიც პოლიტიკურად და ეთნიკურადაა დანაწევრებული და თითქმის მთლიანად დანგრეულია. ზოგიერთი ექსპერტი, საერთოდ, ეჭვით უყურებს მშვიდობის აღდგენის პერსპექტივასაც კი და მიიჩნევს, რომ დაპირისპირებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის სამოქალაქო ომის ხელახლა გაჩაღების პირველი ნიშნები უკვე გამოიკვეთა.

# ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ვაშინგტონი საბოლოოდ დაიბნა

გიორგი ხელაშვილი

*შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გააკეთეს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით.*

პრეზიდენტი ბუში მხარს უჭერს ისრაელის უფლებას, თავი დაიცვას თვითმკვლელი ტერორისტებისაგან. სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი კი დასაშვებად მიიჩნევს “დროებითი” პალესტინური სახელმწიფოს შექმნას და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებას.

ეს ორი განსხვავებული პოზიცია ან შეერთებული შტატების ადმინისტრაციის დაბნეულობას ასახავს, ან წინასწარგანზრახული ორმაგი პოლიტიკაა, რომელიც მიზნად ისახავს ებრაელებისა და არაბების მომადლიერებას.

კოლინ პაუელმა გუშინ განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაცია განიხილავს პალესტინელებისათვის “დროებითი” სახელმწიფოებრიობის მინიჭების შესაძლებლობას. პაუელის თქმით, საკუთარი სახელმწიფო პალესტინელებს საშუალებას მისცემს, ენერგია და იმედები ქვეყნის შენებას მოახმარონ და ტერორისტული საქმიანობის მიმზიდველობა დაძლიონ. გარდა ამისა, პაუელმა ირიბად გააკრიტიკა პრეზიდენტ ბუშის პოზიცია – არ ჩაერიოს კონფლიქტში მანამ, სანამ მხარეები თავად არ მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას. საყურადღებოა, რომ ეს განცხადებები პაუელმა გააკეთა ლონდონის არაბული გაზეთის “ალ-ჰაიეთისათვის” მიცემულ ინტერვიუში. ამ გაზეთს არაბულ სამყაროში მილიონობით მკითხველი ჰყავს.

თეთრი სახლის უარყოფითმა რეაქციამ არ დააყოვნა. პრეზიდენტის პრესმდივანმა ალი ფლეიშერმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივნის იდეები მხოლოდ ზოგადი მოსაზრებებია, რომლებიც უცხო ქვეყნების მეთაურთა შეხედულებებს ასახავს.

პრეზიდენტი ბუში მთლიანად ემხრობა ისრაელის პოზიციას და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას შეუძლებლად მიიჩნევს მანამ, სანამ პალესტინელები ძალადობას არ შეწყვეტენ და მათი ლიდერი არაფატი პალესტინის ადმინისტრაციის ძირეულ რეფორმას არ დაამთავრებს. მეტიც, ისრაელის პრემიერმინისტრ შარონის რჩევით, ბუშის ადმინისტრაციამ უკვე დაიწყო არაფატის შემცვლელის ძებნა. ბუში წინააღმდეგია, ძალადობის შეწყვეტამდე ისაუბროს პალესტინელთა სახელმწიფოზე.

მომავალ კვირას პრეზიდენტი ბუში სიტყვით გამოვა და ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების პრინციპებს ჩამოაყალიბებს. მისი კონკრეტული რეკომენდაციები, ჯერჯერობით, უცნობია. პაუელის განცხადების შემდეგ ვითარება კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა.

ახლო აღმოსავლეთში თითქმის ორი წელია ძალადობა გრძელდება და ბოლო კვლავაც არ უჩანს. კონფლიქტის შეწყვეტა მხოლოდ შეერთებული შტატების პრინციპულ პოზიციას შეუძლია. ეს პოზიცია დღეს კიდევ უფრო გაუგებარია.

# თურქეთ-სომხეთი: დამყარდება თუ არა დიპლომატიური ურთიერთობა?

*გრძელდება საიდუმლო მოლაპარაკება თურქ და სომეხ დიპლომატებს შორის, რომლის შინაარსის გარკვევას აზერბაიჯანელი ჟურნალისტებიც კი ვერ ახერხებენ.*

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინ თურქი და სომეხი დიპლომატები საიდუმლო მოლაპარაკებებს განაგრძობენ. ყარაბახის კონფლიქტის თაობაზე, აზერბაიჯან-სომხეთის მოლაპარაკების კვალდაკვალ, რომელზეც გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, თურქი და სომეხი დიპლომატებიც გააქტიურდნენ.

აზერბაიჯანული გაზეთის “ეხოს” ცნობით, 17 ივნისს ვენაში ან ჟენევაში დაგეგმილია დიპლომატიური შეხვედრა, რომელზეც განიხილება სომხეთსა და თურქეთს შორის ოფიციალური ურთიერთობების დამყარების პირობები. დიპლომატები მოამზადებენ თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, რომელიც სტამბოლში, 24-26 ივნისს დაგეგმილი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს გაიმართება.

ის ფაქტი, რომ საიდუმლო მოლაპარაკებებს აზერბაიჯანული მხარე არ ესწრება, აღაშფოთებს აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს. მათ ვერაფრით მოახერხეს მოლაპარაკებებში ჩართული თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირის, ერთან თეზგორის გამოკითხვა, რათა ნათელი მოჰფენოდა მოლაპარაკების შინაარსს.

სომხეთთან ურთიერთობების მოგვარებისათვის თურქეთი ოთხ მოთხოვნას აყენებს: სომხეთმა უნდა გაათავისუფლოს ყარაბახის ოკუპირებული ტერიტორია; უნდა გაიხსნას ნახჭევანსა და დანარჩენ აზერბაიჯანს შორის საკომუნიკაციო დერეფანი; სომხეთმა უარი უნდა თქვას თურქეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, რომლებიც სომხეთის კონსტიტუციაშია მოხსენიებული და უნდა შეწყვიტოს მთელი მსოფლიოს მიერ “სომხური გენოციდის” აღიარებისთვის დაწყებული კამპანია.

ამ მოთხოვნების მიუხედავად, სომხეთს კვლავ აქვს იმედი, რომ თურქეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება წინაპირობების გარეშე მოხდება. სომხური გაზეთის - “აზგის” ცნობით, სომხეთის პრეზიდენტმა კოჩარიანმა აღიარა, რომ თურქეთისათვის სომხეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება ძნელი იქნება. თურქეთის საზოგადოებრივი აზრი ამ ურთიერთობების დამყარების კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან ეს აზერბაიჯანის ღალატად მიაჩნიათ.

მეორე მხრივ, სომხებისათვის ყარაბახზე უარის თქმის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელია. კოჩარიანი ყარაბახის კონფლიქტის გადაწყვეტის გზად ბოსნია-ჰერცეგოვინას გამოცდილებას მიიჩნევს. მთიანმა ყარაბახმა და აზერბაიჯანმა კონდომინიუმი სახელმწიფო უნდა შექმნან, რომელშიც ყარაბახი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩება.

ცხადია, თურქეთისა და სომხეთის პოზიციები იმდენად დაშორებულია ერთმანეთს, რომ მათ შორის რაიმე საერთოს მონახვაც კი ჭირს. სწორედ ამიტომ დიდ ცნობისმოყვარეობას იწვევს, თუ რაზე ბჭობენ სომეხი და თურქი დიპლომატები, ან რატომ ინახავენ ამ მოლაპარაკების შინაარსს საიდუმლოდ. იმიტომ ხომ არა, რომ მნიშვნელოვანს ვერაფერს აღწევენ?

## ამბები

# აშშ შესაძლო ბიოტერორიზმისგან თავს იცავს

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მოიწონა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც აშშ-ს წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით, შესაძლო ტერორისტული აქტების შედეგების დაძლევის ღონისძიებებს მოიცავს. ამ ღონისძიებებზე 4 მლრდ. დოლარი გამოიყოფა. ეს მუხლი ქვეყნის უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების უზრუნველსაყოფად გამიზნულ 37,45 მლრდ. დოლარიან პაკეტში არ არის გათვალისწინებული. *(BBC)*

# „ტოტალფინაელფი" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს შეუერთდა

ფრანგულმა სანავთობე გიგანტმა “ტოტალფინაელფმა” საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, ჩაერთოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში. ფრანგული კომპანია 5-პროცენტიან წილს შეისყიდის. უახლოეს წლებში “ტოტალფინაელფი” კასპიის რეგიონში ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი გახდება. მოსალოდნელია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ფრანგები არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ ყაზახეთში მოპოვებულ ნავთობსაც გაატარებენ.

ბაქო-თბილისის ნავთობსადენი, რომლის მშენებლობა 2005 წლისთვის უნდა დასრულდეს, 2.9 მილიარდი დოლარი დაჯდება. ამ პროექტის მთავარი მონაწილეები არიან “ბრიტიშ პეტროლეუმი”, “უნოკალი”, “სტატოილი” და სხვა ცნობილი კომპანიები. მათ ახლა “ტოტალფინაელფიც” შეემატა. შესაძლებელია, რომ “ტოტალფინაელფის” მაგალითს რუსულმა “ლუკოილმა” და ამერიკულმა “შევრონტექსაკომაც” მიბაძონ. *(CNA)*

# მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია აზერბაიჯანის კანდიდატურას განიხილავს

ჟენევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში აზერბაიჯანის გაწევრიანების მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი გაიმართა. აზერბაიჯანის დელეგაციას ეკონომიკური განვითარების მინისტრი ფარჰად ალიევი ხელმძღვანელობდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია აზერბაიჯანში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობისა და არსებული პრობლემების შესახებ. ამ პრობლემების ნაწილი სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციის შედეგია. ამასთან დაკავშირებით ფარჰად ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე სომხეთთან თანამშრომლობა გამორიცხულია. სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აზერბაიჯანს მხარდაჭერა აღუთქვეს. მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი 2003 წლის მარტ-აპრილში გაიმართება (Media-Press).

# ევროპა არალეგალური იმიგრანტების წინააღმდეგ ამხედრდა

**თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი ევროკავშირში მცირდება**

იმისდამიუხედავად რომ ევროპაში სულ უფრო ხშირად მოითხოვენ არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ სასწრაფო ზომების მიღებას, ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის მკვეთრი ზრდის შესახებ მოსაზრება გაერო-ს მონაცემებით არ მტკიცდება. 2001 წლის განმავლობაში თავშესაფრის მიღებაზე განაცხადების რიცხვი ოდნავ აღემატება 1992 წლის მონაცემებს, როდესაც ბალკანეთში დაპირისპირებამ ესკალაციას მიაღწია.




21-22 ივნისს ესპანეთის ქალაქ სევილიაში ევროკავშირის სამიტი გაიმართება, რომლის დღის წესრიგის მთავარი საკითხი არალეგალური იმიგრაცია იქნება. ოთხშაბათს სტრასბურგში ევროპარლამენტის სესიაზე ევროკომისიის თავმჯდომარის რომანო პროდის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, სამიტზე იმიგრაციის ისეთი მოდელი უნდა შემუშავდეს, რომელშიც დემოკრატიული თავისუფლებების პატივისცემა და ევროკავშირის მოქალაქეების უსაფრთხოების სამართლიანი მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული.

ევროკავშირის მოქალაქეთა უმრავლესობის აზრით, “იმიგრაციის პრობლემა სულ უფრო მჭიდრო კავშირშია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის საკითხებთან”, რომლის უზრუნველყოფაც ევროკავშირის ლიდერებმა იკისრეს. რომანო პროდის აზრით, მოსახლეობის ამგვარი მოსაზრების ერთ-ერთი მოტივაცია, შესაძლოა, აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი მოვლენებიც იყოს. რომანო პროდის იმიგრაციაზე მოსახლეობის შეხედულება “ძალიან ნათელ პოლიტიკურ ნიშნად” მიაჩნია, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. პროდის აზრით, პრობლემა არა მარტო ევროკავშირის ფარგლებში არალეგალური გადაადგილების წინააღმდეგ ბრძოლაა, არამედ ლეგალური იმიგრანტების ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრირებისთვის ხელშემწყობი და ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის რეგულირებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებაცაა. *(“რია ნოვოსტი”)*

# მილიონი კუბელი აშშ-ს პოლიტიკის წინააღმდეგ

12 ივნისს კუბის დედაქალაქ ჰავანის ქუჩებში მილიონზე მეტი კუბელი გამოვიდა 75 წლის პრეზიდენტის ფიდელ კასტროს მეთაურობით. დემონსტრანტთა ზოლი კილომეტრ-ნახევარზე გაიწელა. დემონსტრაცია კუბის რეჟიმზე აშშ-ს ზეწოლის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვას ისახავდა მიზნად. ერთ-ერთი დემონსტრანტის განცხადებით, ამ გამოსვლით კუბელებს იმის თქმა სურთ, რომ “რევოლუცია ხელშეუხებელია”.

ანტიამერიკული გამოსვლები კუბის 800 ქალაქსა და სოფელში მოეწყო. აღსანიშნავია, რომ 1959 წლის რევოლუციის შემდეგ კუბაში ასეთი მასშტაბის გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია. კუბის ოფიციალური პირების მონაცემებით, მილიონზე მეტი წითელ მაისურებში გამოწყობილი დემონსტრანტი კუბის ეროვნული დროშებით ხელში ოთხი საათის განმავლობაში ჰავანის ქუჩებში მოძრაობდა. ყველა დაწესებულება ერთი დღით დაიხურა.

ანტიამერიკული გამოსვლები სამი კვირის განმავლობაში იმართებოდა პრეზიდენტ ბუშის გამოსვლის საპასუხოდ, რომელშიც მან კუბას “ტირანული სახელმწიფო” უწოდა და განაცხადა, რომ 40-წლიანი სავაჭრო ემბარგო კუბის წინააღმდეგ იქამდე არ მოიხსნება, სანამ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები არ ჩატარდება. აშშ ღიად უჭერდა მხარს კუბური დისიდენტური მოძრაობის მიერ წარმოდგენილ ე.წ. “ვარელას” პროექტს, რომელიც სამოქალაქო თავისუფლებებზე რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. პროექტის მხარდასაჭერად 11.000 ხელმოწერა შეგროვდა. კასტროს მთავრობა ამ პროექტის სასტიკი წინააღმდეგია, რადგან, მისი აზრით, იგი კუბის ეგალიტარული საზოგადოების განადგურებას ისახავს მიზნად. კუბის კონსტიტუციის თანახმად, ხელმოწერილი პეტიცია ეროვნულმა ასამბლეამ უნდა განიხილოს. თუმცა, დისიდენტთა განცხადებით, კასტროს მთავრობა კონსტიტუციაში შესწორებების შეტანას აპირებს, რათა ეს და კუბის ხელისუფლების შეცვლის ნებისმიერი სხვა მცდელობა თავიდან აიცილოს. ფიდელ კასტრომ მოუწოდა კუბელებს, რომ ამ შესწორებების დაცვისა და ამერიკის მიმართ კუბელების დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით საყოველთაო გამოსვლა მოეწყოთ. *(Reuters)*

## მიმღებ-გამანაწილებლის დეკორაციები იცვლება

ირმა კახურაშვილი

*როგორც ირწმუნებიან, პატარა მეძავები, ქურდბაცაცები და მაწანწალები მკაცრ რეჟიმში აღარ იცხოვრებენ, მათ აღარ მოამწყვდევენ გისოსებს მიღმა. ახლო მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა გლდანის მიმღებ-გამანაწილებელი დახურული ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრად გადაკეთდება.*

**"ურეჟიმოდ მუშაობა წარმოუდგენელია, მაგრამ ბავშვები მას ნაკლებად იგრძნობენ. უმეტეს დროს სწავლას დაუთმობენ, ხოლო განსაკუთრებულად ნიჭიერებს რეკომენდაციას გავუწევთ სხვადასხვა პროფილის სასწავლებლებში განათლების მისაღებად. ჩაფიქრებული მაქვს დეკორაციული გაზონების, ლამპიონების, ხეივნის გაკეთება,"** – ასე ოცნებობს მიმღებ-გამანაწილებლის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ციცო კიკალიშვილი. ის რატომღაც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ დროული დაფინანსების საკითხი დარჩა მოსაგვარებელი და საქმეც საათივით აეწყობა. მას მიაჩნია, რომ ახლა მხოლოდ მწყემსის როლს ასრულებს, რადგან მიმღებში, პოლიციის რეიდების შედეგად, ერთი და იგივე ბავშვები ხვდებიან.

45 დღით დაკავების შემდეგ, კანონი ხელმძღვანელობას უფლებას არ აძლევს, ბავშვი გამანაწილებელში გააჩეროს. ყმაწვილები, მეტწილად, ისევ ქუჩაში გადიან და კვლავ უკან ხვდებიან. ახალ ცენტრში კი, ბავშვები განუსაზღვრელი ვადით იცხოვრებენ. ბიჭებისა და გოგონების სკოლები ცალ-ცალკე იქნება. **"შევეცდებით, რომ არასრულწლოვანმა ქუჩისადმი ინტერესი დაკარგოს,"** – აცხადებს პოლკოვნიკი კიკალიშვილი.

გასულ წლებთან შედარებით, მიმღებში ბავშვების რაოდენობამ იკლო. შემცირდა გაქცევის შემთხვევებიც. ბევრს ხომ წასასვლელიც არსად აქვს. ციცო კიკალიშვილის თქმით, ე.წ. ქუჩის ბავშვების მომავალზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ რეალურად არაფერი კეთდება. მას ჰგონია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გახსნილი თავშესაფრები დროებითი მოვლენაა: "როცა გრანტები ამოეწურებათ, ამ ბავშვებს სად წაიყვანენ? ისევ ქუჩისაკენ უბიძგებენ?". იგი დარწმუნებულია, რომ სწორედ, დახურული ტიპის დაწესებულების გახსნაა დროული საქმე. ასეთ მოსაზრებას ერთმნიშვნელოვნად არ ეთანხმება ამ სფეროში მოღვაწე ბევრი პედაგოგი თუ ფსიქოლოგი.

საგულისხმოა, რომ სექტემბერში, ცენტრის გახსნის შემდეგ, პოლკოვნიკი კიკალიშვილი უკვე პოლიტიკაში გადანაცვლებას აპირებს ბავშვთა და ქალთა უფლებების დამცველად.

## ჩხარელ ბავშვებს ოქროს თევზის იმედიღა დარჩათ

ნამდვილი ქართული ამბავი

ნინო ბერძმავა „ ქუთაისი

თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში 470 მოსწავლე და 30 პედაგოგი ქუჩაში დარჩა. ხავსს ჩაჭიდებული 500 ადამიანი ოქროს თევზის გამოჩენას ელოდება, რადგან სხვა იმედი როგორც ადგილობრივმა, ისე ცენტრალურმა ხელისუფლებამ, კარგა ხანია, გადაუწურა.

1991 წლის მიწისძვრის დროს ჩხარის საშუალო სკოლა დაინგრა. ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებმა მოსწავლე-მასწავლებლები დროებით ბაღის შენობაში შეასახლეს.

დროთა განმავლობაში, მოსწავლეთა რაოდენობამ იმატა. ბაღის შენობამ ველარ დაიტია ხიზნები. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოსავალი ადვილად იპოვა. სკოლა ორად გაყვეს. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ბაღში დარჩა, ხოლო დანარჩენი ჩხარის კულტურის სახლში, სპეციალურად მათთვის გათავისუფლებულ ორ ოთახში დააბინავეს.

სკოლის დირექტორი თამაზ გოგბერაშვილი ამბობს: "ოთახები, რომლებშიც ჩვენი ბავშვები მეცადინეობენ, იმდენად ვიწროა, რომ არათუ სწავლა, სუნთქვაც კი ჭირს. სკოლა ორად არის გახლეჩილი... არ გვაქვს მერხები, წიგნები. ზამთარში გათბობის გამო დიდი პრობლემა გვაქვს. ახალი შენობის აშენებაზე არავინ ფიქრობს. მეოთხე წელია, სკოლის დირექტორი ვარ და ამ თემაზე საუბარი ერთხელაც არ ყოფილა... თერთმეტი წელიწადია, ხავსს ვეჭიდებით და მეტი არაფერი..."

ამ ხნის განმავლობაში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხოლოდ ახალი შენობის პროექტი შექმნა. უნივერსალური მაკეტი, უნივერსალური სკოლისთვის იმდენად დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რომ პროექტის ავტორებმა მალე თავად თქვეს უარი მის განხორციელებაზე.

სკოლის დირექციას, მასწავლებლებსა და მშობლებს სურდათ ძველი შენობის ნარჩენები სამშენებლო მასალად გამოეყენებინათ და საკუთარი ძალებით ახალი სკოლა აეშენებინათ. მაგრამ ესეც ვერ მოხერხდა, რადგან სკოლის ნანგრევები სახელმწიფო დაქვემდებარების შენობების შესაკეთებლად გამოიყენეს.

50 წლის წინათ, ჩხარი თერჯოლის რაიონის ცენტრი იყო. სკოლა კი სხვა ადგილობრივი სკოლებისგან წარმატებებით გამოირჩეოდა. აქ სასწავლებლად ბავშვები მეზობელი სოფლებიდანაც დადიოდნენ. ძველი დიდებისგან ჩხარის საშუალო სკოლას სასწავლო დაწესებულების საკუთრებაში მყოფი ნაკვეთიღა შემორჩა, რომელსაც სასწაულის იმედით დღესაც გულმოდგინედ უვლიან ბავშვები.

### ორი სიტყვით

დაბა ზაჰესში წყალსადენის 1400-მილიმეტრიანი მაგისტრალური მილის დაზიანების გამო, დღეს, დილის 10 საათიდან საღამოს 20 საათამდე წყლის მიწოდება მთლიანად შეუწყდება ვაჟა-ფშაველას დასახლებას და ნუცუბიძის პლატოს, დიდ დიღომს, გამსახურდიასა და ყაზბეგის გამზირებს. წყალმომარაგება შეიზღუდება წყნეთში, ვაკესა და მთაწმინდის რაიონის ზედა ნაწილებში.

■ ■ ■

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ 25 აპრილის მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის დასარიგებლად თბილისის მერიას 50 ტონა მაკარონი გადასცა. აქედან 12-12 ტონა მაკარონი ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის, 8-8 ტონა დიდუბე-ჩუღურეთისა და მთაწმინდა-კრწანისის, 7 ტონა ვაკე-საბურთალოსა და 3 ტონა წყნეთის გამგეობებს გადაეცათ. მაკარონი იტალიის მთავრობის მიერ საქართველოსთვის მოწოდებული ჰუმანიტარული რესურსებიდან გამოიყო.

■ ■ ■

თბილისში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საბინაო ფონდის აღსადგენად, ქვეყნის მთავრობა დონორი ორგანიზაციებიდან 90 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას ითხოვს. ამ თანხის გარდა, 30 მილიონი დოლარი საზოგადოებრივი შენობების აღდგენისთვის არის საჭირო. თავად სახელმწიფო, საბინაო მშენებლობისა და სამშენებლო სამუშაოების სუბსიდიებისათვის 3 მილიონი ლარის გამოყოფას გეგმავს.

*მედია ნიუსი*

### უცხოეთი

## ნიკოტინი ბოთლებით

ივნისში ამერიკაში ნიკოტინით შეზავებული სასმელის გაყიდვას დაიწყებენ. Nico Water-ი სიგარეტის შემცვლელი იქნება და რესტორნებში, კინოთეატრებში, თვითმფრინავებსა და სხვა იმ ადგილებში გაიყიდება, სადაც მოწევაა აკრძალული. "წყალი აქვეითებს სიგარეტის მოწევის მოთხოვნილებას და თქვენ თავს აღარ იგრძნობთ მეორეხარისხოვან ადამიანად," - განაცხადა ახალი სასმელის მწარმოებელი ფირმა Quick Test Five-ის წარმომადგენელმა თიმოთი ოუენმა. სასმელი ნახევარლიტრიან ბოთლებში გაიყიდება და 1,50 ფუნტი სტერლინგი ეღირება. ამ კამპანიით უკმაყოფილება უკვე გამოთქვეს ანტინიკოტინურმა კომპანიებმა. მათი აზრით, ასეთი წყალი, შეიძლება, ბავშვებში სიგარეტის მოთხოვნილების ერთ-ერთ მიზეზად იქცეს. თავის მხრივ, ახალი პროექტის ერთ-ერთი ავტორი, ექიმი ერიკ ვესტმანი, აღნიშნავს, რომ ამ საშუალებით მწეველს შეეძლება საკუთარი თავის დამოუკიდებლად გაკონტროლება.

## ამბობენ, გავფრინდებითო!

თამარ ცირდავა



*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტი, მას შემდეგ, რაც კიდევ ორ ახალ თვითმფრინავს მიიღებს, მოყვარული მფრინავების მომზადებასაც დაიწყებს. ინსტიტუტის დირექტორი, სერგი სტეფნაძე დარწმუნებულია, რომ ფრენის მსურველები საქართველოს მოქალაქეებს შორისაც გამოჩნდებიან:* ***"თუ მერსედესის ავტომობილში 100 ათას დოლარს იხდიან, რატომ არ მოინდომებენ 40 ათასად ორადგილიანი თვითმფრინავის ყიდვას?"*** *მაგრამ ეს სექტემბერში დაიწყება. მანამდე კი, ამ თვის ბოლოს, ინსტიტუტში "ბოინგის" წარმომადგენლებს ელოდებიან. ისინი ჯერ - მოსკოვში, შემდეგ თბილისში ჩამოვლენ.*

რა დროს ფრენააო, იტყვით. სიმართლეა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტი კურსდამთავრებულთა, დაახლოებით, ნახევარს ასაქმებს და ამჟამად აქ 1200 სტუდენტი სწავლობს. თუმცა, ფაკულტეტები მხოლოდ საფრენოსნო საქმის სწავლებას არ ემსახურება. ისინი ავიასატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტისთვის ამზადებენ სპეციალისტებს.

მართალია, საქართველოში როგორც სხვა, ასევე ამ ინსტიტუტსაც არ აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია, მაგრამ სწავლების მანჩესტერის სისტემა დიპლომანტებს დსთ-სა თუ ევროპაში მუშაობის საშუალებას აძლევს.

ყოველწლიურად ინსტიტუტის ოთხი თანამშრომელი "ბოინგის" სიეტლის (აშშ) 6-თვიან სტაჟირებას გადის. მსოფლიოს უმსხვილესი ავიაამწარმოებელი კომპანია საქართველოდან იქ ჩასული წარჩინებული სტუდენტების სწავლის ხარჯებს თავად ფარავს და სტიპენდიასაც უხდის. ასეთი სტაჟირება უკვე 25-მა თბილისელმა მესამე-მეოთხეკურსელმა გაიარა. თუმცა, ამერიკელების გადმოცემულ თვითმფრინავებზე გაწვრთნილი და სიეტლში სასწავლებლად წასული რვა სტუდენტიდან, ოთხი იქ დარჩა. მიზეზი, ალბათ, გასაგებია. "ბოინგმა" ინსტიტუტს 20-კომპიუტერიანი სასწავლო ცენტრი აჩუქა. ივნისის ბოლოს კი, კომპანია ამდენივე კომპიუტერს ჩამოუტანს და სტუდენტთა სტაჟირების პროექტის გასაგრძელებლად ხელშეკრულებასაც გააფორმებს.



*"ბოინგის" წარმომადგენელი დსთ-ში ვლადიმირ ბილვესტონი, კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი გრეი ბრეისი და სერგი სტეფნაძე*

ავიაციის ინსტიტუტით თურქეთიც დაინტერესდა. ბოლო დროს თურქები საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სერიოზულად ეხმარებიან. ჩვენი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის კურსანტებს ავიაციის ინსტიტუტი ამზადებს. თურქმა პარტნიორებმაც ავიატორების მომზადებაში უპირატესობა ამ სასწავლებელს მიანიჭეს: სამხედრო აკადემიაში საერთო-საჯარისო ორწლიანი მომზადების შემდეგ, მფრინავები პროფესიულ ცოდნას მხოლოდ ავიაციის ინსტიტუტში მიიღებენ.

ამერიკელებისა და თურქების გარდა, ინსტიტუტის პარტნიორები არიან: სანკტ-პეტერბურგის სამოქალაქო ავიაციის აკადემია, მოსკოვისა და კიევის ტექნიკური უნივერსიტეტები, აგრეთვე, კლაუსტალის (გერმანია) ტექნიკური უნივერსიტეტი. **"კლაუსტალში ბევრი ჩვენი სტუდენტი სწავლობს"**, - თქვა სერგი სტეფნაძემ და გვაცნობა, რომ "თბილავიამშენის" მიერ შეძენილმა ორმა სასწავლო თვითმფრინავმა განაახლებინა მიღება სამოქალაქო ავიაციის მფრინავთა ფაკულტეტზე.

## ქველმოქმედების კანონი – ტკბილი ტყუილი

ეკატერინე ბახუტაშვილი

ორი წლის განმავლობაში კულისებში არსებულმა კანონპროექტმა - "ქველმოქმედებისა და სპონსორობის შესახებ", როგორც იქნა დღის სინათლეზე გამოაღწია და საქართველოს პრეზიდენტის მფარველობაც მოიპოვა, მაგრამ, როგორც ამბობენ, კანონად გადაქცევას კიდევ 2-3 წელი მაინც ვერ ეღირსება. თურმე, ამის მიზეზი ხელისუფლებაშია, რომელიც კანონის არარსებობის მიზეზად მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს ასახელებს – ბიუჯეტის შევსებამდე ქვეყანაში არანაირი საგადასახადო შეღავათები არ განხორციელდება.

აღნიშნული კანონპროექტის შესახებ აჭარის წარმომადგენლობაში გამართულ დისკუსიაზე ხელოვნებათმცოდნემ, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა, გოგა ჩართოლანმა განაცხადა, რომ უკვე ძალიან ბევრი ითხოვს ქვეყანაში ასეთი კანონის მიღებას. კანონპროექტის დღის სინათლეზე გარღვევის მიზეზი ამ ადამიანების დროებით გაჩუმებაა. მან ქვეყანაში ქველმოქმედების შესახებ კანონის მიღებას "ტკბილი ტყუილი" უწოდა.

"ქველმოქმედებისა და სპონსორობის შესახებ" კანონპროექტი რამდენიმე ვარიანტის ნაზავია, რომელიც შემუშავდა კულტურის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების და "მრეწველების" მიერ. ირკვევა, რომ იგი მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებს. კანონპროექტში იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის არ არის ასახული საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები საგადასახადო შეღავათების გაწევასთან დაკავშირებით. ამის გარეშე კი ბიზნესმენს არ გაუჩნდება ქველმოქმედების სურვილი, თუმცა მოგებიდან გარკვეული თანხების გაღებას დღესაც არავინ უკრძალავს.

## შაბათ-კვირას ბაზრობები დაიკეტება

ქეთი ქადაგიშვილი

14 ივნისს, დღის მეორე ნახევრიდან, დედაქალაქის გარევაჭრობის ადგილებში სანიტარული დასუფთავებისა და მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის აღკვეთის მიზნით, „დინამო" სტადიონისა და ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა ბაზრობა დაიკეტება, ხოლო 16 ივნისს კი კვლავ გაიხსნება.

ამ ღონისძიებას სანიტარები, ძირითადად, მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის ასაკრძალად აწყობენ. ისინი მსგავს ღონისძიებას, თითქმის, ყოველი გაზაფხულ-ზაფხულის დადგომისას ატარებენ, თუმცა პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. ბევრგან შეხვდებით ტროტუარებზე მოწყობილ პატარ-პატარა დახლებზე შებოლილ თევზს, რძის პროდუქტებს, ძეხვეულსა და საკონდიტრო ნაწარმს, განსაკუთრებით, ქალაქის გარეუბნებსა და გარევაჭრობის ადგილებში. წლეულს, თბილისში 8,2 ათასი კილოგრამი სხვადასხვა უხარისხო საკვები პროდუქტი განადგურდა. სანიტარები ირწმუნებიან, რომ ამ ღონისძიების გარეშე დედაქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე უფრო მეტად დაემუქრებოდა.

პირველი მარტიდან, ქალაქის ხელმძღვანელობის დავალებით, სანიტარულმა ზედამხედველობის ინსპექციამ დედაქალაქში მალფუჭებადი პროდუქტის რეალიზაციას ისევ შეუტია. ამ სეზონზე კონტროლი გამკაცრდება განსაკუთრებით საკონდიტრო ნაწარმსა და ნაყინზე. ინსპექციის ხელმძღვანელის, ჯუღული ახვლედიანის თქმით, მალფუჭებადი პროდუქტის რეალიზაციის პრობლემა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და სანაპიროებზე უკვე მოწესრიგებულია, რაც შეეხება გარევაჭრობის ადგილებს, აქ მალფუჭებადი პროდუქტის რეალიზაციის აკრძალვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. "შესაბამისი დამსჯელი მექანიზმები არ გვაქვს. მალფუჭებადი პროდუქტით ვაჭრობაზე ჯარიმა 9 ლარია, ეს კი, ბუნებრივია, მოვაჭრეებს ვერ აშინებს. ამიტომ დაჯარიმებას ისევ მოვაჭრეთა სისტემატური შემოწმება ვამჯობინეთ, თუმცა დიდი შედეგი არც ამას ექნება, რადგან მოვაჭრის გამოჭერა ძალზე ძნელია, გამკონტროლებელი გამოჩნდება თუ არა, იგი მალფუჭებად პროდუქტს მაშინვე მალავს. სანამ გარევაჭრობა არ აიკრძალება, ბაზრებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის აკრძალვა შეუძლებელია", - ამბობს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი, ჯუღული ახვლედიანი. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, რომ მოქალაქეებმა არ შეიძინონ ქუჩასა და გარევაჭრობის ადგილებში გამოტანილი მალფუჭებადი პროდუქტი.



ალეკო კარტაშიანის ფოტო

სასამართლო დარბაზი

# ექსპერიმენტი სასამართლო დარბაზში

ხათუნა ჯანგირაშვილი



განსასჯელი მიხეილ ხუნდაძე ექსპერიმენტის დროს

ბესო გულაშვილის ფოტო

გუშინ უზენაესმა სასამართლომ ბორის ბოლქვაძის მკვლელობის საქმის განხილვა დიწყო. ბოლქვაძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ პოლიციელ მიხეილ ხუნდაძეს, გამოძიების მასალების მიხედვით, 15-20-წლიანი ან უვადო პატიმრობა ელის.

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ლენგერ ბოჭორიშვილი გუშინ დიდი მონდომებით ცდილობდა განზრახ მკვლელობის მოტივის დადგენას, თუმცა, როგორც განსასჯელის სასამართლო ჩვენებამ, ასევე მოწმედ დაკითხული დაზარალებულების ჩვენებებმა მკვლელობის მოტივის დადგენის საშუალება არ მისცეს. გამოძიების მასალებით კი შემთხვევითობა გამორიცხულია. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, კურორტ ბახმაროში, ღამის საათებში შემოვლაზე მყოფმა ჩოხატაურელმა მთვრალმა პოლიციელმა მიხეილ ხუნდაძემ, ბახმაროს ცენტრში მდებარე მაღაზიაში, პისტოლეტის მიბჯენით გასროლით, შეგნებულად მოკლა მაღაზიის მეპატრონე ბორის ბოლქვაძე. გამოძიების მასალებითვე, მკვლელობას წინ უსწრებდა შეკამათება ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

განსასჯელი აღიარებს, რომ დამნაშავეა, თუმცა განზრახ მკვლელობას კატეგორიულად უარყოფს. **"ძალიან ახლობლები ვიყავით, ჩვენი ოჯახებიც მეგობრობდნენ, სულ ერთად ვიყავით, მე ცოტა ხანში გარდაცვლილის ძმა უნდა მომენათლა. ჩხუბი კი არა, კამათიც არ გვქონია არასდროს",** - განუცხადა განსასჯელმა სასამართლო კოლეგიას. ერთი წლის წინ ბახმაროში მომხდარი მკვლელობა კი ასე გაიხსენა: "ხაშურის რაიონული პოლიციის თანამშრომლები წესრიგის დასაცავად მივლინებით ბახმაროში გაგვიშვეს. ერთ საღამოს, ჩემს თანმშრომლებთან ერთად, მიხეილ ხუნდაძის მაღაზიაში შევედით, პერანგი ამოჩაჩული მქონდა, ვიფიქრე, გავისწორებ-მეთქი, იარაღი ამოვიღე, ცალ ხელში ლიმონათის ბოთლი მეჭირა, იარაღიდან ტყვია ისე გავარდა, ვერც კი მივხვდი. უცებ ჩემ წინ მდგომი ბოლქვაძე მაცივარს მიასკდა და იქვე ჩაიკეცა. გაოგნებულმა დავხედე, შუბლიდან სისხლი თქრიალით მოდიოდა"...

განსასჯელი ჩვენებას გარდაცვლილის მეუღლის ემოციური და მკაცრი შეფასებების ფონზე აძლევდა სასამართლოს. დაზარალებული თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ მკვლელობის დღეს მიხეილ ხუნდაძე მთვრალი იყო, რომ მას სჩვეოდა იარაღით უაზროდ თამაში, რომ ბევრჯერ მიუდია სხვებისთვისაც პისტოლეტი შუბლზე და უთქვამს, შუბლს გაგიხვრეტო. გარდაცვლილის მეუღლემ მკვლელობის მოტივად ვალი დაასახელა, რომელიც, მისი თქმით, ხუნდაძეს ემართა.

მკვლელობის დროს მაღაზიაში მყოფმა მოწმეებმა გუშინდელ სასამართლო პროცესზე მკვლელობის მიზეზი ვერ დაასახელეს და ამტკიცებდნენ, რომ იარაღიდან ტყვია შემთხვევით გავარდა, რომ განზრახ მკვლელობა არ მომხდარა, თუმცა დაზარალებულთა მტკიცებით, განსასჯელიცა და მოწმეებიც ტყუიან.

მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილმა შემთხვევითობის დასადასტურებლად სასამართლო პროცესზე ექსპერიმენტის ჩატარება სცადა. უზენაესი სასამართლოს დაცვის თანამშრომლის პისტოლეტით განსასჯელს იმავე მოძრაობის გამეორება სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. **"მომაშორეთ იარაღი, ხელში ნუ დამაჭერინებთ, მაგან დამღუპა,"** – ასეთი პასუხი მიიღო სასამართლო კოლეგიამ განსასჯელისგან.

მოწმედ დაკითხულმა გარდაცვლილის 17 წლის ქალიშვილმა, რომელმაც პირველმა ნახა მოკლული მამა, სასამართლო კოლეგიას განუმარტა, რომ მამამისი და მიხეილ ხუნდაზე მართლაც მეგობრები იყვნენ, თუმცა, მკვლელობამდე მათი ურთიერთობა შეიცვალა:

**"მას შემდეგ, რაც პოლიციელი გახდა, გათამამდა, საშინლად ეხუმრებოდა ხოლმე მამას, მიადებდა იარაღს შუბლზე და ეუბნებოდა, შუბლს გაგიხვრეტო".** თამუნა ხუნდაძემ გასული წლის ორი აგვისტო ქრონოლოგიურად გაიხსენა, თუმცა მაინც გაურკვეველი დარჩა განზრახ მკვლელობის მიზეზი.

დაზარალებულმა მხარემ სასამართლოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მორალური ზარალის ასანაზღაურებლად მილიონი ლარი, ხოლო მატერიალური ზარალისთვის 5 ათასი ლარი მოითხოვა. მოსამართლემ შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა: შსს მოპასუხედ არ სცნო და 5 ათასი ლარის ზარალის ანაზღაურება მკვლელობაში ბრალდებულს დააკისრა.

# პროკურორის მკვლელობის ისტორია

## პირველი შეკვეთილი მკვლელობა

ინგა ალავიძე

*ორ დღეში გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე მორიგ საბრალდებო დასკვნას მოაწერს ხელს. ორშაბათს გენერალური პროკურატურა უზენაეს სასამართლოს ახალ საქმეს გადაუგზავნის - გენერალურმა პროკურატურამ დაასრულა თბილისის პროკურორის, მიხეილ ქურდაძის, მკვლელობის საქმის გამოძიება.*

"ეს არის პირველი შეკვეთილი მკვლელობა",- ასეთი შეფასება მისცა გენერალურმა პროკურატურამ კოლეგის, თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობას.

ქართული კრიმინალისტიკის ისტორიას მრავლად ახსოვს შეკვეთილი მკვლელობები, მაგრამ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სამართალდამცველებმა საქმეს საჯაროდ მისცეს შეკვეთილი მკვლელობის კვალიფიკაცია.

1993 წლის 10 მარტს კოსტავას ქუჩაზე, საკუთარი სახლის წინ, სიცოცხლეს გამოასალმეს თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე. მანქანიდან გადმოსულ პროკურორს სადარბაზოს შესასვლელთან უცნობი ახალგაზრდა მიუახლოვდა და სახეში სამი სასიკვდილო ტყვია ესროლა. სადარბაზოს შესასვლელთან წაქცეულ, სასიკვდილოდ დაჭრილ მიხეილ ქურდაძეს მკვლელმა სამი საკონტროლო ტყვია დაახალა: ერთი - თავში, ორი - გულში.

სამართალდამცველებმა მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ ამოიღეს მკვლელობის იარაღი – "მაკაროვის" სისტემის სქ-18-09 ტიპის პისტოლეტი, რომელიც სოხუმის გვარდიის ოფიცრის, არჩილ შანიძის, საკუთრება იყო. უკვე შემდეგ გაირკვა, რომ პისტოლეტით, რომლითაც მოკლეს მიხეილ ქურდაძე, რამდენიმე მკვლელობა იყო ჩადენილი.

1993 წლის 4 მარტს, მიხეილ ქურდაძის მკვლელობამდე ექვსი დღით ადრე, წყნეთის გზაზე სამართალდამცველებმა "ჟიგულის" მარკის თეთრი ფერის "06" იპოვნეს; მანქანაში ორი გვამი აღმოაჩინეს - არჩილ შანიძისა და მისი მეგობრის, ზურაბ ნათაძის. ორი მეგობრის მკვლელი დღემდე დაუდგენელია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ არჩილ შანიძე და ზურაბ ნათაძე შანიძისეული პისტოლეტით მოკლეს, იარაღი კი მკვლელებმა წაიღეს.

შანიძისა და ქურდაძის მკვლელობიდან 10 თვის შემდეგ, 1994 წლის 31 იანვარს, მტკვარში დიდუბელი ნუკრი რურუას გვამი იპოვნეს. დადგინდა, რომ ნუკრი რურუაც შანიძის იარაღით იყო მოკლული. ამ მკვლელობისთვის ბრალდებული და გასამართლებული პოლიციელი, აკაკი დვალიშვილი, დღესაც სასჯელს იხდის. სწორედ მის ბინაში იპოვნეს შანიძის კუთვნილი იარაღის ტყვია. გენერალურმა პროკურატურამ, საბოლოოდ, სამხედრო პოლიციის თანამშრომელ კობა გურგენიძემდეც მიაღწია.

მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმე გენერალურ პროკურატურაში წლების განმავლობაში ინახებოდა. ამ ხნის მანძილზე პროკურორებმა საზოგადოებრივ სამსჯავროზე განსახილველად არაერთი სკანდალური ვერსია გამოიტანეს და მხოლოდ 8 წლის შემდეგ შეძლეს, ფაქტობრივად, გახსნილი საქმის შესრულებაში ეჭვმიტანილის დაპატიმრება. 5 ოქტომბერს კობა გურგენიძე გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილში დაკითხვაზე დაიბარეს, ქურდაძის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს და დააპატიმრეს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ კობა გურგენიძეს გამოძიებისთვის აღიარებითი ჩვენება არ მიუცია. იგი დღემდე კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას.

საქმის გამომძიებლის განცხადებით კი, დაპატიმრებულმა "ქილერმა" შემკვეთისგან თბილისის პროკურორის მკვლელობისთვის გასამრჯელოდ სოლიდური ჰონორარი – 10 ათასი დოლარი აიღო.

გენერალური პროკურატურა ორ დღეში საქმის ძიებას დამთავრებულად გამოაცხადებს, მაგრამ არ ამჟღავნებს მთავარს - იმ კლანის, ანუ მათ ვინაობას, ვინც თბილისის პროკურორის მკვლელობა შეუკვეთა. არადა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პროკურატურისათვის ცნობილია მკვლელობის შემკვეთთა ვინაობაც, მაგრამ დასახელებას არც ახლა და არც მომავალში არ აპირებენ.

სხვათა შორის, წლების წინათ გენერალურმა პროკურატურამ ქურდაძის მკვლელობის შემკვეთად თბილისის ყოფილი შერიფი დავით ზეიკიძე და მისი თანაგუნდელები მოიხსენია; თუმცა, მხოლოდ სიტყვიერად. პროკურორთა საბრალდებო გამოსვლები მალევე მიეცა დავიწყებას.

ასეთ ვითარებაში ვარაუდის გამოთქმა გვიადვილება: პროკურატურა ამ სკანდალური საქმის - მიხეილ ქურდაძის მკვლელობის გახსნით, თავის გამოჩენას ცდილობს, თანაც ისე, რომ სათქმელს ბოლომდე არ ამბობს; "ინახავს" მთავარს, მკვლელობის შემკვეთს თუ შემკვეთებს.

თუმცა, ვნახოთ... თვენახევარში უზენაეს სასამართლოში მიხეილ ქურდაძის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყება.

# ჰენრი კისინჯერს ჩილეში ჩვენების მიცემა მოუწევს

აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰენრი კისინჯერს, 1973 წლის ჩილეს სამხედრო გადატრიალებაში ამერიკის მიერ შეტანილი წვლილისთვის, ექსტრადაცია ემუქრება.

კისინჯერს მოწმედ დაკითხავენ სალვადორ ალიენდეს საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით.

გამოძიება იკვლევს გადატრიალებაში ცსს-სა და აშშ-ს ხელისუფლების მონაწილეობის საკითხს.

ჩილელი მოსამართლე ხუან გუსმანი გაკვირვებულია იმით, რომ კისინჯერს არ გაუჩნდა ჩილეს სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი. გუსმანი ამზადებს აშშ-ს მთავრობისადმი მოთხოვნას ყოფილი სახელმწიფო მდივნის ექსტრადაციის თაობაზე. ჰენრი კისინჯერმა ჩილელ სამართალდამცველებს უნდა მისცეს ჩვენება ამერიკელი რეჟისორისა და ჟურნალისტის ჩარლზ ჰორმანის დაღუპვის ფაქტზე, რომელიც გადატრიალებიდან რამდენიმე დღეში სამხედრო მოსამსახურეებმა მოკლეს.

მოსამართლე გუსმანი ასევე იძიებს, აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა გადასცეს თუ არა ჩილელ სამხედროებს ჩამოგდებული ხელისუფლებისადმი სიმპათიით განწყობილ ამერიკელთა სია. საიდუმლო დოკუმენტების მიხედვით, ასეთი სია მართლაც არსებობს.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჰორმანმა დაადგინა ჩილეს არმიის შტაბის მეთაურის გენერალ რენე შნაიდერის სიკვდილის ნამდვილი მიზეზები. შნაიდერი ალიენდეს უჭერდა მხარს, რითაც გადატრიალების ორგანიზატორებს ხელს სერიოზულად უშლიდა.



ჩილეს სასამართლო კისინჯერის დაკითხვას ითხოვს

REUTERS

ქრონიკა

## მეგობარმა მეგობარი მოკლა

თბილისელი ზაზა ჩაჩუა საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზი გულმკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობა გახდა. ჩაჩუას სამშაბათს ღამით საკუთარი სახლის სადარბაზოში ესროლეს. სამართალდამცველები, ჯერჯერობით, ერთადერთ ვერსიას ამუშავებენ, რომლის თანახმადაც კეკელიძის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში ორი, არც ისე ახალგაზრდა მეგობარი წაკინკლავდა, რაც ერთ-ერთის სიკვდილით დასრულდა.

როგორც შევიტყვეთ, ჩაჩუას ნასროლი აქვს ე.წ. "საფანტის იარაღიდან." ეს იარაღი სიცოცხლისათვის საშიში მხოლოდ ახლო მანძილიდან სროლისას შეიძლება გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ იარაღის რაობა ცნობილია, დაღუპულის გვამს ექსპერტიზა მაინც ჩაუტარდება, სამართალდამცველები კი მეგობრის მკვლელს ეძებენ.

## გაქცეული პატიმარი სახლთან ახლოს დააკავეს

რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული პატიმარი გუშინწინ უკან, საპატიმროში დააბრუნეს.

31 მაისს ძროხის ქურდობისა და მანქანის გატაცებისთვის გასამართლებულმა ვალერი ეგოროვმა საპატიმროს დამცავი კედელი გადალახა და, მიუხედავად გუშაგის მიერ დადევნებული ავტომატის ჯერისა, კოლონიის სიახლოვეს მდებარე ტყეს შეაფარა თავი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული რამდენიმე საათიანი სპეცოპერაცია მაშინ უშედეგოდ დასრულდა, თუმცა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ტყეში გასული პატიმარი მოლაპარაკების შედეგად საკუთარ საკანს დაუბრუნდებოდა. ეგოროვმა კი ტყიდან გაქცევა მოახერხა და ამით, ფაქტობრივად, გაინაღდა მისჯილი პატიმრობის ვადის გაზრდა. გურჯაანის სასამართლომ მას ქურდობისთვის 6 წელი მიუსაჯა, რასაც ახლა გაქცევისათვის მისჯილი 3 წელიც დაემატება. არადა, ნებაყოფლობით დაბრუნების შემთხვევაში ეს სამი წელი მისთვის, შეიძლებოდა, ეპატიებინათ კიდეც.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა გაქცეული მხოლოდ გუშინწინ დააკავეს. მას საკუთარ სახლთან ახლოს, გურჯაანში მიაგნეს და რუსთავის კოლონიაში დააბრუნეს.

## ავტომანქანა „მოსკვიჩი„ გაიტაცეს

სამმა ახალგაზრდამ ქუთაისელ კონსტანტინე სანადირაძეს მანქანა მოსტაცა. სანადირაძე საკუთარი "მოსკვიჩიდან" იარაღის მუქარით გადმოსვეს, თუმცა გატაცებული მანქანით შორს ვერ წავიდნენ. სოფელ ზემო სიმონეთის მკვიდრი შმაგი ცერცვაძე და სამტრედიელები გურამ გეგუჩაძე და ანდრო ჩინჩალაძე პოლიციამ გატაცებულ მანქანაშივე დააპატიმრა. მათ საქმეს ახლა პროკურატურა გამოიძიებს.

## ევროპულ „ობობას ქსელში„ შესაძლოა, ქართველი მაფიოზებიც გაებან

სოფიკო ჩხაიძე

ევროპა მაფიოზების დაპატიმრების ტალღამ მოიცვა. ბოლო ოპერაცია იტალიაში ჩატარდა. ოპერაციაში (სახელწოდებით "ობობას ქსელი") იტალიელებთან ერთად გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, მონაკოს, აშშ-ს და კანადის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ. სპეცოპერაციის მიზანი იყო იტალიაში გასათეთრებლად შესული რუსული შავი ფულის ამოღება. ფული რუსული მაფიის წარმომადგენლების კუთვნილება გახლავთ და მოპოვებულია უკანონო იმიგრაციის, ნარკოტიკებისა და იარაღის ვაჭრობით.

ამ დანაშაულის გახსნაზე მუშაობა რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს. ვარაუდობენ, რომ მსხვილ მაფიოზურ ქსელში ქართველებსაც უჭირავთ მნიშვნელოვანი ადგილი. მეტიც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაახლოებით, ორი თვის წინ რუსმა სამართალდამცველებმა ქართველ კოლეგებს გამოუგზავნეს ექვსკაციანი სია და დამნაშავეთა იდენტიფიკაციაში დახმარება სთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ისინი საქართველოდან კარგა ხნის წინ არიან წასულები და გარკვეულ პერიოდში მოსკოვში მოღვაწეობდნენ. როგორც შევიტყვეთ, 90-ანი წლების დასაწყისში იარაღის ოფიციალურ ბიზნესშიც იყვნენ ჩართულები. ამჟამად არც ერთი მათგანი დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიაზე აღარ იმყოფება და, სავარაუდოდ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. რუსი სამართალდამცველების მხრიდან მათი პერსონებით დაინტერესება კი რუსეთის ბანკებიდან დიდი ოდენობით ფულის – 350 მილიონი დოლარის ევროპის ბანკებში გადაქაჩვამ გამოიწვია. აგრეთვე, რუსებს ხელთ უნდა ჰქონდეთ ევროპელი კოლეგებისგან მიწოდებული ინფორმაცია, ამ ხალხის მიერ იარაღის უკანონო ბიზნესის წარმოების შესახებ.

ამ ექვსეულის ვინაობას უახლოეს მომავალში დავადგენთ, თუმცა, შესაძლოა მათი გვარები ევროპელ სამართალდამცველთა მიერ დაპატიმრებულთა ნუსხაშიც გამოჩნდეს. ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული საქმის ძიებისას საქართველოს იმ მოქალაქის გვარიც შეიძლება ამოტივტივდეს, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ლონდონში ჰყავთ დაპატიმრებული. ამ პიროვნების ვინაობა ინგლისელმა კოლეგამ დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გაუმხილა. თუმცა, დაკავებულის პერსონა და მისგან მისაღები ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული, რომ კობა ნარჩემაშვილს ამ ამბის საიდუმლოდ შენახვა სთხოვეს. ჩვენთვის მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ დაკავებული უშუალოდ მონაწილეობდა და, შესაბამისად, მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გადაქაჩული ფულის გათეთრების თაობაზე და აგრეთვე, ამ საქმიანობაში ჩართულ პირებზე. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ ბრიტანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ საქართევლოს შს მინისტრს მუდმივად საქმის კურსში აყენებენ ლონდონში მიმდინარე გამოძიების თაობაზე.

სხვათა შორის, ოპერაციის დეტალებისა და დაკავებულთა ვინაობის საიდუმლოდ შენახვას მარტო ინგლისელები და ქართველები როდი ცდილობენ. მაგალითად, იტალიაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული ცნობილი რუსი ბიზნესმენის გვარს არც რუსი და იტალიელი სამართალდამცველები არ ასახელებენ. მის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ მოსკოვში, წითელი მოედნის სიახლოვეს იტალიური ფეხსაცმლის მაღაზიების ქსელს ფლობს.

გარდა ამისა, ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ევროპელმა პოლიციელებმა დააკავეს ასამდე მაფიოზი. სხვათა შორის, დაკავებულთაგან 20 იტალიელია, 13 - ფრანგი. გარდა ამისა, 150 კომერსანტის წინააღმდეგ აღიძრა საქმეები. იტალიის პოლიციის სპეციალური სამმართველოს უფროსის ფრანჩესკო გრატერის განცხადებით, პოლიციამ ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაყინა 300 საბანკო ანგარიში, რომელიც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გათეთრებისთვის გამოიყენებოდა. გრატერის განცხადებით, მარტო ორ საბანკო ანგარიშზე 4 მილიონი ევრო იყო.

იტალიელმა კანონდამცველებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი ფინანსური სქემა და იმ მრავალრიცხოვან ფირმათა ანგარიშები, რომელთა მეშვეობითაც რუსეთიდან და სსრკ-ს ყოფილი ქვეყნებიდან ფული საბანკო კანონმდებლობის დარღვევით გასათეთრებლად გაედინებოდა აშშ-ში, საიდანაც შემდეგ ევროპაში შედიოდა. საბანკო ოპერაციები კაპიტალის ექსპორტის შესახებ კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდებოდა. ამ გზით ორ წელიწადში რუსეთიდან და სსრკ-ს ყოფილი ქვეყნებიდან გავიდა 3 მილიარდი დოლარი.

გრატერის განცხადებით, უახლოეს მომავალში რამდენიმე ქვეყანაში კიდევ ჩატარდება მსგავსი ხასიათის ოპერაცია. პირველ რიგში, ევროპაში, ასევე, რუსეთსა და სსრკ-ს ყოფილ ქვეყნებში.

# კრასნოდარის მხარე - ნაცისტური გერმანიის პატარა ფილიალი

პირველი გვერდიდან

ისინი პატივს არ სცემენ კაზაკურ ტრადიციებს და ადგილობრივ მოსახლეობას სამუშაო ადგილებს ართმევენ. გარდა ამისა, ფილმის ავტორთა აზრით, ემიგრანტთა რაოდენობა სისტემატიურად იზრდება და, აქედან გამომდინარე, ყუბანში რუსები, სულ მალე, შეიძლება, უმცირესობაში აღმოჩნდნენ... ამ ინფორმაციის ეთერში გასვლის შემდეგ, კადრში გამოჩნდა მილიციის მანქანა (УАЗ). მილიციისა და კაზაკების ერთობლივი პატრული არალეგალური მიგრანტების საძებნელად გადის, ისინი დაბა ობნინსკში მიემგზავრებიან. მათ წინ მიუძღვის სვეტლანა ბიბიკი, დაბის მილიციის საპასპორტო-სავიზო სამსახურის უფროსი.

“გამარჯობა, საპასპორტო-სავიზო სამსახური. არ მიცნობთ? ახლა გამიცნობთ. თქვენი დოკუმენტები, პასპორტები, საბინადრო წიგნაკი. აქ რამდენი ცხოვრობთ?” - ირკვევა, რომ სახლში სომხების ოჯახი ცხოვრობს - და და ძმა. მათ არ გააჩნიათ არც საბინაო წიგნაკი და არც დროებითი ჩაწერა. სამაგიეროდ, აქვთ 5 დიდი სათბური. “ჩვენ მოგვყავს ბოსტნეული და ვყიდით ბაზარზე, ხომ არ ვიპარავთ, პატიოსანი შრომით ვირჩენთ თავს,” – პასუხობენ შეშინებული სომხები. მაგრამ სვეტლანა ბაბიკი დაუნდობელია: “თქვენ ჩვენთან არაკანონიერად ცხოვრობთ. დადგა დრო, როცა ყველას უბოდიშოდ გაგასახლებთ. მოემზადეთ, თქვენთან მალე დავბრუნდებით.”

რეიდი მიტოვებულ ფერმაში მთავრდება. კაზაკები ამბობენ, რომ აქ, ნახევრად დანგრეულ კორპუსებში, ექვსი მესხეთელი თურქი დასახლდა. მილიცია მხოლოდ ადამიანის ნასახლარს აგნებს და ტელეკამერაში ამბობს: “ აი, თქვენ ხედავთ საწოლებს, ესე იგი, სადღაც ვიღაც არის. დიდხანს ვერ დაიმალებიან!”

მესხეთელი თურქები, რომლებიც კრასნოდარის მხარის ყირიმის რაიონში კომპაქტურად ცხოვრობენ, გუბერნატორი ტკაჩოვის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევენ. ხუთმილიონიან მხარეში 30 ათასი მესხეთელი თურქია. კაზაკები ირწმუნებიან, რომ მათი გასახლებისთვის რამდენიმე დღე დასჭირდებათ. თავის მხრივ, მესხები ამბობენ, რომ დაიცავენ საკუთარ თავს და სახლებს, თუკი მათ ხვალ ავტობუსებში ჩატენვას დაუწყებენ. აქამდე არ არის ცნობილი, სად აპირებს ტკაჩოვი თურქი-მესხების გასახლებას. ”სადაც გინდათ, - შეიძლება თურქეთში, შეიძლება საქართველოში.” - უპასუხა მან ჟურნალისტს. თუმცა, ამ საკითხზე მას არც თურქი-მესხებისა და არც ქართველების აზრი არ უკითხავს.

რაც შეეხება გუბერნატორის ამგვარი პოლიტიკისადმი ჩვეულებრივი ადამიანების დამოკიდებულებას, მოსახლეობა ორ ბანაკადაა გაყოფილი (გეოგრაფიული ნიშნით). ტკაჩოვს მხარს ყუბანის მოსახლეობა უჭერს, რომელიც ძირითადად კაზაკებისაგან შედგება. ხოლო შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობა, ტრადიციულად კრასნოდარის გავლენის მოწინააღმდეგე, გუბერნატორის ინიციატივებს გულგრილად უყურებს.

**“ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით გუბერნატორს თავისი მოვალეობის შესრულებაში**, - აცხადებს სოჭის მერი ლეონიდ მოსტოვოი, - **მაგრამ არავის მივცემთ უფლებას, ჩვენს ქალაქში ეროვნული შუღლი დათესოს, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ყოველთვის მშვიდობიანად ცხოვრობდნენ.”**



გუბერნატორის პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა ფედერაციის საბჭოს წევრმა, რუსეთის ხალხთა ასამბლეის ლიდერმა რამაზან აბდულატიპოვმა. ბორის ნემცოვმა კი ალექსანდრ ტკაჩოვს “თავშეკავებისა და გონიერებისაკენ” მოუწოდა. მაგრამ უფრო ხშირად ამ საკითხზე თავიანთ აზრს ადამიანის უფლებების ცნობილი რუსი დამცველები გამოთქვამენ.

მიხაილ არუტუნოვი: **“თავად ტკაჩოვია დამნაშავე არალეგალური მიგრანტების გაჩენაში. ვინ უშლის მას ხელს, დაარეგისტრიროს ისინი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მათ გადასახადები გადაახდევინოს. ტკაჩოვი თავად ქმნის გაუსაძლის გარემოს და აღვივებს ეროვნულ კონფლიქტს. სწორედ ტკაჩოვი და არა თურქი-მესხები, სომხები და ქურთები.”**

ვალერია ნოვოდროვსკაია: **“ბატონმა ტკაჩოვმა კრასნოდარის მხარეში ნაცისტური გერმანიის პატარა ფილიალი შექმნა. შესაძლებელია, მალე ყველა არარუსს ტანსაცმელზე განმასხვავებელი ნიშნის გაკეთებაც მოსთხოვოს. და საერთოდაც, რა შუაშია აქ საქართველო და თურქეთი? ისეთი ადამიანისთვის, როგორიცაა ტკაჩოვი, უფრო ტიპიურია არა ჩარტერული რეისები თბილისსა და სტამბულში, არამედ - სარკინიგზო ეტაპები ციმბირში, კოლიმაზე. სულაც არ გამიკვირდებოდა, მას რომ ეს მოეთხოვა.“**

ჯერჯერობით ნათელი არაა, დაიწყება თუ არა “ ხალხთა დიდი გასახლება.” ბევრი პუტინის რეაქციას ელოდება, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი დუმს. ადვილი შესაძლებელია, ტკაჩოვს ეს დუმილი თანხმობის ნიშანიც ეგონოს.

# რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს: „აფხაზეთში რუსეთის პასპორტებს არიგებენ, აჭარა და სამაჩაბლო რიგს იკავებენ„

პირველი გვერდიდან

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტის უფროსის ალექსანდრე იაკოვენკოს კომენტარით, რუსეთის კანონმდებლობა არ კრძალავს, კანონის ფარგლებში, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას, ყველა საჭირო პროცედურის გავლის შემთხვევაში.

რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ დღეს მოქალაქეობის ახალი კანონის თანახმად, რუსეთის მოქალაქეობის მიღება, პირიქით, გართულებულია. რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული პასტორტების დარიგებაზე ინფორმაციას, მას გადაუმოწმებელს უწოდებს რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი როგოზინი. მისი თქმით, პარლამენტი უახლოეს დღეებში მოისმენს ფედერალური საემიგრაციო სამსახურის უფროსის მოხსენებას და ამ საკითხზე უფრო დეტალურ ინფორმაციას მიიღებს.

იქმნება ისეთი სურათი, რომ დღეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში წარმოებული რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა სათანადო აღრიცხვაზე აყვანისა და მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებული მექანიზმის ამოქმედებას, რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება შიდა პრობლემად, ანუ საკუთარ ფედერალურ პრობლემად, მიიჩნევს.

სულ ორიოდე თვის წინ, რუსეთის დუმაში შედგა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკოსთა ვიზიტი. მათ მასპინძლობდა უშუალოდ როგოზინის მოადგილე ბატონი შაბანოვი. საერთოდ, ამ კომიტეტის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ პასტუხოვის კომიტეტთან ერთად, ოსურ-აფხაზური ლობის აქტიურობა მოსკოვში სწორედ რომ ფედერალურ დონეზე მიმდინარეობს. ამაზე მეტყველებს სულ ცოტა ხნის წინ დუმაში მათ მიერ ორგანიზებული საპარლამენტო მოსმენები, სადაც ზემოხსენებულმა ლობისტებმა პირველი და სერიოზული განაცხადები გააკეთეს საქართველოს რეგიონებში რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა ინტერესების დაცვაზე. დღეს სახეზეა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების აქტიური მონაწილეობაც ამ საქმეში, რასაც ჟურნალისტებთან საუბრისას არც ერთი დიპლომატი არ მალავდა. ვერაფერს იტყვი, საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებით, პუტინის ადმინისტრაცია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების დასაცავადაა მოწოდებული და ყველფერს იღონებს მომავალშიც. ამას უბრალო და ადამიანურ ენაზე პატრიოტიზმი ჰქვია. სხვა საქმეა, ჩვენს შემთხვევაში ვის წინააღმდეგაა მიმართული ეს ამაყი გრძნობა და რატომ არ აღმოგვაჩნდება ხოლმე იგივე ჩვენც, ქართველებსაც, იქ, სადაც ჩვენი თანამემამულეების ინტერესები, მოსკოვის თოვლსა და ტალახში ქართველების თავით ჩაყუდებისას ირღვევა...

საგულისხმოა, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებული პროცედურის ამოქმედებას და, უხეშად რომ ვთქვათ, რუსული პასპორტების თხილივით დარიგებას, თავისი საინტერესო წინაისტორია აქვს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში პუტინის სპეცწარმომადგენლის ვალერი ლოშჩინინის მოღვაწეობიდან გამომდინარე. მოსკოველი ჟურნალისტებისათვის კარგადაა ცნობილი საქართველოს ხელისუფლებისადმი ამ დიპლომატის კრიტიკული პოზიცია და აჭარის ლიდერისადმი მისი ხაზგასმული ლოიალობა. ბატონ ლოშჩინინს არაერთხელ განუცხადებია, რომ საქართველო-რუსეთს შორის დაძაბულობის თავი და თავი ქართულ პოლიტიკურ ელიტაში დღეს გამეფებული ანტირუსული განწყობილებაა, რაც დიდ საფრთხეს უქმნის აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და აჭარაში მცხოვრები რუსებისადმი ლოიალურად განწყობილი მოქალაქეებისა და რუსეთის მოქალაქედ გახდომის მსურველთა სიცოცოხლეს .

როგორც უკანასკნელი მოვლენები ცხადყოფენ, ივანოვის უწყებამ თადარიგი დიდი ხნის წინათ დაიჭირა და თავისი დანაპირებიც შეასრულა - დღეიდან რუსეთი ფედერალურ დონეზე დაიცავს საკუთარი სახელმწიფოს პრესტიჟს, საკუთარი მოქალაქეების ღირსებას - ოღონდ სად და ვის ტერიტორიაზე ,ეს, როგორც რუსები ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, მათი პრობლემა არ არის .

ანუ, დღეს საქართველოს პრობლემაა ის, რომ მისი ისედაც მწირი დემოგრაფიული სურათი, მეზობელი ერთმორწმუნე ქვეყნის ხელისუფალთა წყალობით, სულ უფრო კატასტროფული გახდება. რუსეთი ამის შესახებ გვაფრთხილებდა და მერე როგორ გვაფრთხილებდა - მზაკვრულად,ირონიულად და სერიოზულად. შედეგი,რომ იტყვიან, სახეზეა. სახეზეა ქართველი დიპლომატების ცოტა დაგვიანებული განაწყენებაც იმის გამო, რომ მთელი ეს ისტორია დაემთხვა აფხაზეთში, ვითომდა ჩვენდამი კეთილად განწყობილი დიპლომატების, ლოშჩინინისა და კოლოტუშას დღევანდელ ვიზიტს. დაემთხვა ერთ საინტერესო ფაქტსაც - **14 ივნისს რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში პრემიერი მიხეილ კასიანოვია მოწვეული, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების საკითხზე სენატორებთან დისკუსიის გასამართავად.** ამ სხდომის ჩანაწერს ჩვენი გაზეთის მკითხველს აუცილებლად გავაცნობთ, თუმცა, წინასწარ შეიძლება იმისი თქმა, რომ აფხაზური კონფლიქტის ზონისადმი რუსეთის ფედერალური ხელისუფლების ასეთი დიდი დაინტერესება მხოლოდ ერთ ფაქტზე მეტყველებს - რუსეთი არ აპირებს საკუთარი გავლენის სფეროდან გაუშვას საქართველო, დათმოს მისთვის სტრატეგიულად ასე საჭირო რეგიონი.

როცა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება საკანონმდებლო არხებით ამყარებს ასეთ პოზიციას, კონფლიქტის დარეგულირებასა და საქართველო-რუსეთს შორის ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივა ნოლს უტოლდება.

ისე, რუსეთის გაგებაც შეიძლება - საკუთარი მოქალაქეების ინტერესებს ხომ დაცვა სჭირდება. თანაც, მოსკოვში საშინლად ჩამოცხა. ჰოდა, ის დროა, ადგილობრივმა პოლიტელიტამ შავ ზღვაზე მოუსვას და ოფიციალური თბილისის გასამწარებლად საგზლად ტკიცინა რუსული პასტორტებიც ხელს გააყოლოს - აფხაზეთში მომლოდინე თანამემამულეების იმედების გასამართლებლად.

ამასობაში სოხუმში კოლოტუშა და ლოშჩინინი აფხაზეთის სახელმწიფო კომისიის სხდომაში მონაწილეობენ (სხდომა აფხაზეთის ახალი საკანონმდებლო აქტების პროგრამას იხილავს). ქართული საზოგადოება უკვე ინფორმირებულია, რომ აფხაზეთში შეიქმნა “მოქალაქეობის კანონში” წინადადებების, შესწორებებისა და დამატებების შემტანი სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც, ჩვენი გაზეთის ინფორმაციით, რუსეთის პარლამენტი და საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევს მეურვეობას.

# გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზის ინსპექტირება ჩაიშალა

პირველი გვერდიდან

**სტამბულის სამიტზე საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გასვლის გაადწყვეტილება, ბოლო მომენტში განაცხადეს, რომ ბოლომდე ვერ გაერკვნენ იმ მოვლენებში, რომლებიც ბოლო დროს გუდაუთის ბაზაზე განვითარდა და ამიტომ ინსპექტირების გადატანა მოითხოვეს”** – აცნობა “24 საათს” ქართული სამშვიდობო ოპერაციის კოორდინატორის მოადგილემ კლიმენტი თევზაძემ.

თევზაძის განცხადებით, ეუთოს წარმომადგენლები, რომლებიც უკვე გუდაუთაში არიან, ჯერ აპირებენ წინასწარ შეისწავლონ ბაზაზე შექმნილი ვითარება, რის შემდეგაც განაცხადებენ, თუ როდის იქნება ბაზის ინსპექტირება შესაძლებელი.

გუდაუთის სამხედრო ბაზა 1999 წელს ეუთოს სტამბულის სამიტზე, საქათველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმებით, ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში უნდა გაუქმებულიყო. რუსეთმა ოფიციალურადაც განაცხადა, რომ ბაზიდან სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა გაიყვანა და ამაში დასარწმუნებლად ქართველები გუდაუთაშიც მიიპატიჟა. თუმცა, ოფიციალურ თბილისს, რომელსაც, გასაგები მიზეზების გამო, ბაზის ნახვის საშუალება დღემდე არ მიეცა, არ სჯერა, რომ ბაზა ნამდვილად გაუქმებულია.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუდაუთის ბაზაზე საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვება მოითხოვა. **“რუსები და აფხაზები ჯერ ამის წინააღმდეგნი იყვნენ, შემდეგ მაინც დაგვთანხმდნენ, ბოლოს კი აფხაზურმა მხარემ ახალი პირობა წამოაყენა, რომ იმ შემთხვევაში დაუშვებენ ინსპექტორებს, თუ ამ ჯგუფში ქართული მხარე ჩართული არ იქნებოდა,”** – გვითხრა საგარეო საქმეთა სამინისროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა კახა სიხარულიძემ

ბოლო მომენტამდე, აფხაზური მხარე მართლაც კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ ამ ინსპექტირებაში ქართულ მხარესაც მიეღო მონაწილეობა. **“ქართველები მხოლოდ იმიტომ ითხოვენ ინსპექტირებაში მონაწილეობას, რომ აფხაზეთში თავიანთი იურისდიქციის გავრცელება დააფიქსირონ,”** – განაცხადა ვლადისლავ არძინბას თანაშემწემ ასტამურ ტანიამ. თუმცა, როგორც “24 საათმა” გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიტყო, ამ საკითხზე კვლავ მიმდინარეობს კონსულტაციები და არ არის გამორიცხული, რომ გუთაუთის ბაზაზე ქართველი დამკვირვებლები მაინც დაუშვან.



გუშინ, გვიან ღამით, ასეთი შესაძლებლობა არ გამორიცხა სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტმა როენ აგრბამაც. **“ჩემი აზრით, ქართველები უნდა ენდონ მონიტორინგის შედეგებს, რომელსაც საერთაშორისო დამკვირვებლები ჩაატარებენ, თუმცა, ისიც შესძლებლად მიმაჩნია, რომ ბაზაზე ქართველი ექსპერტებიც ჩამოვიდნენ,”** – განაცხადა აგრბამ.

ქართველი ექსპერტების გარეშე, გუდაუთის ბაზის ინსპექტირების შედეგები, როგორც თბილისში აცხადებენ, “დამაჯერებლად ვერ ჩაითვლება”.

B3 კულტურა B4 მეცნიერება B5 საზოგადოება B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# წლის ბიზნესმენი

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს საუკეთესო ბიზნესმენად გასულ წელს ე.წ. სახელმწიფო სექტორში მიჩნეულია შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზის" მმართველი, ბატონი აკაკი ჩხაიძე, ხოლო კერძო სექტორში - TBC ბანკის ხელმძღვანელი, ბატონი ვახტანგ ბუცხრიკიძე.

ასეთია ოფიციალური შედეგები გამოკითხვისა, რომელიც ჩატარდა გაზეთ Georgian Times-ის და სოციალური კვლევის ცენტრის "გორბის" ინიციატივით და თანამშრომლობით.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი წელს უკვე მეშვიდედ გაიმართა – ამჯერად რესტორანში, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქართველი ბიზნესმენის, სარაჯიშვილის სახელს ატარებს.

ორგანიზატორებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ ღონისძიება ისეთ უმაღლეს დონეზე ჩატარებულიყო, რომელიც ამ მნიშვნელოვან აქციას შეეფერებოდა. ყოველ შემთხვევაში, სურათი ასეთი იყო: ქართული ბიზნეს-ელიტა, მასმედია ყველა ფორმით, გაურკვეველი ნიშნით არჩეული პოლიტიკოსები, ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, ყველა ის ადამიანი, რომელთა გარეშე ამ ქალაქში თითქმის არაფერი არ ხდება.



ბესო გულაშვილის ფოტო

უმაღლესი ეშელონებიდან ამ საღამოს ესწრებოდნენ უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის გენერალური დირექტორი ზაზა შენგელია ... თუმცა, ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ნომინანტად მოგვევლინა: ის კერძო სექტორში აღინიშნა, როგორც საუკეთესო დებიუტანტი. სახელმწიფო სექტორიდან ყურადღება მიიპყრო საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ, რომელმაც სამ ნომინაციაში: ეფექტური მენეჯმენტი, საუკეთესო PR და სარეკლამო კომპანიაში გაიმარჯვა.

წლის საუკეთესო ქველმოქმედად საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია და მისი პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე აღიარეს.

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიამ „მაგთი" და მისმა ხელმძღვანელმა გია ჯოხთაბერიძემ მიიღეს ჯილდო სტაბილურობისა და ეფექტური სარეკლამო კომპანიისათვის.

ნომინაციაში - „გრანდიოზული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში", როგორც სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი - საქართველოს რკინიგზა და აკაკი ჩხეიძე, ხოლო კერძო სექტორში - ქართული სიგარეტის, "პირველის" მწარმოებელი ავთო წერეთელი აღინიშნენ.

რაც შეეხება საღამოს არაოფიციალურ ნაწილს, ის წარმოდგენილი იყო GWS-ის მწვანეთი, წამყვანით - დუტა სხირტლაძით, მომღერლებით - მერაბ სეფაშვილით, დათო ხუჯაძით, ქართული ხალხური ცეკვით, გასული საუკუნის დასაწყისის ქალაქური ფოლკლორით და ყველა იმ ემოციით, რომელსაც ზემოთხსენებული ქართული ღვინო იწვევს.

# სადო, ირორი და ძენი

## ცხოვრება იაპონურად

თამარ ბაბუაძე

დღეს ჩვენი მასპინძელია ოსაკელი კაძუო ჰაიაკუმო. ამ აშკარად იაპონური გვარ-სახელის მიუხედავად ამჯერად ფეხბურთი არაფერ შუაშია. ჰაიაკუმო ინჟინერია და დღეს იაპონურ არქიტექტურაზე მოგვიყვება, ყველაზე მისტიკურსა და ინდივიდუალურზე.

იაპონელებისთვის ინტერიერის დიზაინი მთელი რელიგიაა, თავისი ცერემონიებით და "ღვთისმსახურებით".

იაპონელები ბუნებასთან შეხმატკბილებულად ცხოვრობენ და ამიტომ სურთ, "ცოტა" ბუნება შინაც შემოიტანონ. სწორედ ამიტომ სახლებს, ძირითადად, ხისგან აგებენ. ჩვენი ჰაიაკუმოც სახლებს სწორედ ამ პრინციპით აშენებს.

ვინც ყოველ კუთხე-კუნჭულში ბედისგან გამოგზავნილ ნიშნებს ეძებს, ხშირად გიჟად ნათლავენ. თუმცა, იაპონურ სახლში მოხვედრილს ამ ნიშნების მოძიების ნუ შეგრცხვებათ. იქ მართლაც ყველაფერი რაღაცაზე მიანიშნებს, რაღაცის სიმბოლოა. ასეთ გარემოში კი არქიტექტურაც და სახლის დიზაინიც ამ სიმბოლოებით იტვირთება.

თუნდაც, იაპონური ჩაის ცერემონიალი ავიღოთ. როგორ შეიძლება ათასი ფარული ნიშნით სავსე ღონისძიება ჩვეულებრივი დასავლური ტიპის სახლში ჩატარდეს. მაშინ რა ეშველებათ ინსა და იანს, რომელთა სიმბოლოც, ჩაის სმის დროს, წყალი და ცეცხლია? სწორედ ამიტომ კაძუო ჰაიაკუმო სადოს ტიპის ოთახებს აშენებს.

**"სადო"** – ასე ჰქვია ჩაის სმის უძველეს ცერემონიალს, რომელიც იაპონიაში უხსოვარი დროიდან ტარდება. თანაც, არა ყველგან, არამედ ზუსტად სადოს ტიპის ოთახებში. ის ორ ნაწილად იყოფა – მთავარ კუთხეში ჩაის სმის ცერემონიალი მიმდინარეობს, მეორეში კი მასპინძელი ჩაის აყენებს. მათ ერთმანეთისგან მრგვალ თაღში მოქცეული, გასაცურებელი კარი ჰყოფს. ორივე ოთახში იატაკს ტატამის ფილები ფარავს. ტატამი – ეს ბრინჯის და ლერწმის ტოტებისგან დამზადებული დაფაა, რომელსაც ხის იატაკზე აგებენ. ტატამი ოთახში თავისებურ სურნელს აყენებს, რომელიც იაპონელებისთვის თავისებურ, მშვიდ განწყობასაც ქმნის.



მთავარი ოთახის კუთხეში კი შუაცეცხლია მოწყობილი. ჩაისთვის წყალს პირდაპირ ოთახში გაჩაღებულ კოცონზე ადუღებენ. იქვეა თაროც, რომელზეც ჭურჭელი ინახება. კოცონთან კი აუცილებლად უნდა იდგეს დაწნული ხის ბოძი – ეს სადოს განუყოფელი ნაწილია.

ამ უცნაურ ოთახში ჭერიც ორიგინალურია. ის "იოშიზუს" – ლერწმის ფილების და "აჯიროს" – დაწნული ხისგან მზადდება და ვენტილაციისთვის საუკეთესო გარემოს ქმნის. თუმცა, არა მხოლოდ ვენტილაციისთვის - წარმოიდგინეთ, რაც ზემოთ აღვწერეთ, უკვე ხელოვნების ნიმუშიც არის.

კოცონიდან მოშორებით, სადოს მეორე ბოლოში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია – "ტოკონომა" – კედელში ჩაშენებული ნიშა, რომელშიც, როგორც წესი, ყვავილები და ერთმანეთის მიყოლებით ჩამოკიდებული სურათებია მოთავსებული. იაპონური ტრადიცია ამ სურათების თემატიკასაც მკაცრად განსაზღვრავს – სადოს ოთახში სურათებზე ჩაის სმის ცერემონიალი უნდა იყოს აღწერილი, თანაც აუცილებლად. "ტოკონომას" გვერდით კი არის ის გასაცურებელი კარი, რომელზეც ზემოთ მოგითხრობდით. კარს მიღმა მასპინძელი ჭურჭელს რეცხავს, ჩაის აყენებს...

მაშ ასე – თქვენს წინაშე იყო, იაპონური ინტერიერის ერთი მიმდინარეობა – სადო. ეხლა ირორის სტილს გავეცნოთ.

**"ირორი"** – ღია ცეცხლს ნიშნავს, რომელსაც ოთახის შუაგულში ანთებენ. იატაკი ტატამის ფილებით არის დაფარული. კოცონის გარშემო ხის დაბალი პლატფორმაა შექმნილი, რომელზეც ბალიშებია გაფანტული. "ირორიზე" წყლის ასადუღებლად ჭერიდან კაუჭი ეშვება, მასზე ოჯახის დიასახლისი წყლით სავსე ჩაიდანს ჰკიდებს. "ირორის" გარშემო იაპონელები საღამოობით იკრიბებიან, სვამენ ჩაის, ვახშმობენ და საუბრობენ. კოცონის და სისადავის გარდა, თავისებურ სიმყუდროვეს ქმნის გასაცურებელი კარები. მასზე ზოგჯერ იაპონური შპალერია გაკრული. ხანდახან კი კარის ქვედა ნაწილი შემინულიც არის – დახურული კარის მიუხედავად, მყუდრო ოთახიდან იაპონური ბაღის მშვენიერებით მაინც რომ დატკბნენ.

**"ძენი"** – სულიერი წვრთნის ტრადიციული ცერემონიალია, რომელსაც ბუდისტი მღვდლები გონების გასანათებლად მიმართავდნენ. "ძენის" მიმდევარი იაპონელი ჩუმად ჯდება ტატამით განწყობილ იატაკზე და მდუმარედ გაჰყურებს ბაღს. იაპონელებს სჯერათ, რომ ამ დროს სულიერად ისვენებენ და შემოქმედებითი ძალებით ივსებიან.

აი, ამ სიმბოლიკის მატარებელი უნდა იყოს "ძენის" სტილის ოთახი. ამ მედიტაციურ განწყობას ისევ და ისევ ტატამის იატაკი ქმნის და ულამაზესი ბაღი, რომელიც იაპონელს სულიერად დასვენებაში უნდა დაეხმაროს. "ძენის" სტილის ოთახს წინ ხის ტერასაც აქვს...

თუმცა, სანამ "ძენის", "სადოს" და ან "ირორის" ოთახში შეაბიჯებდეთ, ფეხზე გახდა არ დაგავიწყდეთ. თუმცა, ეს გაფრთხილება ამაოა – იაპონელებთან სტუმრად ვერასდროს შეივლით. იმისთვის, რომ "ძენის" ოთახში მედიტაცია და სულიერად დასვენება შეძლოთ, იაპონელმა წინასწარ უნდა მიგიწვიოთ. სხვა შემთხვევაში მისი სახლის კარი თქვენთვის მაგრად ჩარაზული იქნება.

## ამბები

### ლიტერატურული კონკურსი

15 ივნისს მიუნხენში ტარდება "წიგნების გრძელი ღამე".

რა არის ლიტერატურა? რა გავლენას ახდენს ელექტრონული ფოსტა და SMS-გზავნილები ჩვენს ენაზე?

ახალი მედიების ხანაში ვერავინ უარყოფს, რომ დიდ ლიტერატურას სქელტანიანი წიგნები აღარ სჭირდება. მაგრამ მხოლოდ 160 ნიშნით, აბა, რას მოვახერხებთ?

სწორედ თქვენი დახმარებით გვინდა დავამტკიცოთ, რომ პოეზიისთვის პატარა სივრცეც კმარა. ამიტომ 3-დან 15 ივნისამდე Yahoo! ლიტერატურულ კონკურსს აცხადებს.

თქვენც შეგიძლიათ SMS და e-mail-ის მეშვეობით კონკურსში მონაწილეობის მიღება. თემა სამია: "სიყვარული", "მონატრება" და "ტკივილი". საუკეთესო ნაწარმოებებს "წიგნების გრძელ ღამეს" წაიკითხავენ და ინტერნეტით გამოაქვეყნებენ. გამარჯვებულს საზოგადოება დაასახელებს.

### ბელმონდო დაბრუნდა!

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ფრანგული კინოს ვარსკვლავს, ჟან-პოლ ბელმონდოს, სულ უფრო ხშირად ღალატობს ჯანმრთელობა. 1999 წლის დეკემბერში თეატრალური პრემიერის დროს გულის შეტევა დაემართა, თუმცა მაშინ ერთ-ორ დღეში გამოჯანმრთელდა. შარშან ზაფხულში კი, კორსიკაზე, სისხლი ჩაექცა, ვერ ლაპარაკობდა და სახის ნახევარი წართმეული ჰქონდა.

ავადმყოფობიდან 10 თვე გავიდა და 69 წლის ბელმონდო თაყვანისმცემლებს წვეულებებსა და პარიზის დისკოტეკებზე კვლავ ღიმილით ეგებება.

### დეიმონ ელბარნმა Fatboy Slim გადააგდო

ნორმან კუკი (იგივე Fatboy Slim) დეიმონ ელბარნის (Gorillas და Blur) ახალი ალბომის პროდიუსერობას ამაოდ ელოდება. მართალია კუკმა კოლეგისგან წინადადება თებერვალში მიიღო, მაგრამ მას შემდეგ ელბარნი მუსიკოსს აღარ შეხმიანებია. ლოდინით გადაღლილმა Fatboy Slim კი, გადაწყვიტა New Musical Express დახმარებით ხმა მიეწვდინა ელბარნისთვის: "დეიმონ, თუ წაიკითხავ ამ წერილს, დამირეკე, ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში".

### All Saints და Prodigy დანათესავდნენ

All Saints ყოფილი წევრი ნატალი ეპლტონი Prodigy ვარსკვლავზე, ლაიემ ჰაულეტზე დაქორწინდა. ბრიტანული ტაბლოიდის, News OF The World ინფორმაციით, წყვილმა ქორწილი აღმოსავლეთ საფრანგეთში გადაიხადა.

სტუმრებს შორის იყო პატარძლის და, ნიკოლი, რომელმაც თავის დროზე დიდებას ასევე All Saints წყალობით მიაღწია. საქორწინო წვეულება, რომელსაც 30-მდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის, სკანდალური ლაიამ გალაჰერი და დეივ სტიუარტი ("იურითმიქსი"), რესტორანში გაიმართა.

### ქალი - ძაღლებთან მებრძოლი

მარგარეტ ჰარგროვი, 73 წლის ფლორიდელი ქალბატონი, თავის ცხრათვიან სკოჩ-ტერიერ ალექსთან ერთად მშვიდად სეირნობდა. ამ დროს გამოვარდა პიტბული და პატარას ეცა. ქალი ჯერ ხელით ეცადა ძაღლების გაშველებას, მერე კი დაიოთხა და პიტბულს ყელზე უკბინა. გაოცებულმა ძაღლმა თავი დაანება სკოჩ-ტერიეტს და ახალ მოწინააღმდეგესთან დაიწყო ურთიერთობის გარკვევა. ქალმა ძაღლს კვლავ უკბინა, ამჯერად უკვე საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ბედად მეზობელმა მიუსწრო და მოჩხუბრებს წყალი დაასხა. ბრძოლის შედეგად ძაღლები მსუბუქად დაშავდნენ.

### ეშკროფტი არ წასულა

რიჩარდ ეშკროფტმა დიდ ხანს არ ალოდინა თაყვანისმცემლები და სადებიუტო ალბომის გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ ახალ ჩანაწერზე დაასრულა მუშაობა. ალბომი, რომელსაც სახელწოდება ჯერ-ჯერობით, არ აქვს, შემოდგომაზე გამოვა.

ისევე როგორც Alone With Everybody (პირველი სოლო-ალბომი), მუსიკოსს მჯერადაც ცნობილი პროდიუსერი, კრის პოტერი დაეხმარა. პოტერი Verve წარმატებული ალბომის Urban Hymns პროდიუსერიც იყო. მუსიკოსს კი რამდენიმე სიმღერაში Beach Boys მუსიკოსი, ბრაიენ ვილსონი ეხმარება. ალბომი ლონდონის სტუდია River Thames-ში ჩაიწერა.

### ბოუიმ საუკეთესო ალბომი გამოუშვა

ინგლისური როკის ვეტერანმა, დევიდ ბოუიმ ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველი ალბომი გამოუშვა. ალბომის გამოსვლიდან ორ კვირაში კი, ლონდონის ცენტრში გაიმართება Meltdown მუსიკალური ფესტივალი, რომლის კურატორიც დევიდ ბოუია.

ბოუის ახალ ალბომში მონაწილეობენ დეივ გროლი და პიტ თაუშენდი.

ალბომი Heathen უკვე აღიარეს ბოუის საუკეთესო სტუდიურ ჩანაწერად Heroes შემდეგ. ბოუი ბას-გიტარის გარდა ყველა ინსტრუმენტზე უკრავს, რითაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ იგი ცოცხალი შემოქმედია და არა უსულო კერპი. კომპოზიციით Everyone Says Hi კი, მუსიკოსი ახალგაზრდობას მოუწოდებს, რომ ნამდვილი ოსტატობისთვის მხოლოდ და მხოლოდ სწავლაა საჭირო.

# სად მიდიან კუები? ან...

## გართობის კულტურა თბილისურად

მადი სერებრიაკოვა

კუს ტბაზე კუები როდისმე იყვნენ? აი, პირველი კითხვა, რომელიც ხსენებულ ტერიტორიაზე გასეირნებისას დამებადა. თუმცა, გამახსენდა, რომ ბავშვობაშიც სწორედ ეს შეკითხვა მაწუხებდა, როცა უფროსებთან ერთად სეირნობისას თვალებს ვითხრიდი კუების ძებნით. ახლა კუს ტბის ტერიტორია ყოველ საღამოს სიგრილისა და "კაი პონტის" მაძიებელი თბილისელებით ივსება. ზოგჯერ იმდენად, რომ ტბასთან მისასვლელი გზის ნახევრად ფეხით გავლაც გიწევს – მანქანის გასაჩერებელი ადგილი აღარ არის. სხვა მხრივ, გვარიანად დაბინძურებული წყლის ფერსაც თუ მივიღებთ მხედველობაში – მწვანე ფერი იქ საკმაოდ ბევრია.

თუმცა მანქანას ვინ ჩივის – ზოგჯერ ჩემი გასაჩერებელი ადგილიც არ არის და კუებზე ხომ – ლაპარაკიც ზედმეტია. ადრე კუს ტბაზე სიარულს სპორტული დატვირთვა ჰქონდა: ფეხით აირბენდი, კალათბურთს ითამაშებდი, სქეითბორდით დაეშვებოდი.. დღეს (განსაკუთრებით საღამოს) რომ იქ მორბენალი ვინმემ დაგინახოს – აი, სადამდე მიგვიყვანა ამ მთავრობამო, გულწრფელი გულისტკივილით მოგაძახებენ.

ახლა კუს ტბას სხვა ესთეტიკა აქვს: ღია კაფეში დაჯდები, ბუნგალოში "იძიგძიგებ", რაც მთავარია, უსათუოდ ყველა ნაცნობსა და მეგობარს ნახავ, ჭორაობით გულს მოიოხებ – მე შენ გეტყვი, საჭორაო გამოილევა კუს ტბაზე, თუ რა?! ბოლო ხმაზე აგუგუნებული მუსიკა თუ არ დაგაცლის, მობილური ტელეფონით დაელაპარაკები გვერდზე მაგიდაზე გამოჭიმულ "დაქალებს", ან სულაც sms-ის საშუალებით ეპისტოლარული ჟანრის განვითარებაში შეიტანთ ფასდაუდებელ წვლილს შენ და შენი მეგობარი გოგოები (ბიჭებიც, - ორიენტაციისამებრ).

მთელი ეს ვაკხანალია შარშან ზაფხულში დაიწყო: წყალზე სცენა გააკეთეს, "ვარსკვლავების" კონცერტები მოაწყვეს და გაგიხარია! – აგუგუნდა კუს ტბა აჩიკო მეფარიძის არ იყოს - "დილამდე, გათენებამდე!". წელს ნაკლებად გაგვიმართლა. ამინდებს ვერ ველირსეთ. თუმცა, პირადად მე



ბესო გულაშვილის ფოტო

ცარიელი კუს ტბა უფრო მომეწონა. ისეირნებ მარტოკა ნაპირზე, ლექსებს დაწერ (ძირითადად სიყვარულზე). ერთხელ ყვავილების დაკრეფაც მოვიწადინე, ჯერ გაზონებზე გავკრიფე ვარდები ჩუმ-ჩუმად, მერე ბილიკებს ავუყევი და... ბოლოს ერთი საათი მეძებდნენ მეგობრები ტყეში და ტალახში.

სანაპირო ზოლთან რომ მშენებლობა მიდის, რაღაც კატაკომბების მსგავსი – ამბობენ, ამერიკელების პროექტიაო და თანამედროვე სპორტულ-გასართობი კომპლექსი იქნებაო, - რა თქმა უნდა, თუ "იქნებას" ოდესმე რეალურ დროს და სივრცეში განსხეულება უწერია. ეს კი ჯერ საეჭვოა, რადგან კუს ტბის ტერიტორიაზე ამბობენ -მუნიციპალური საკუთრებააო და კერძო ინვესტორებს ლეკიშვილის ლობირებაც ვერ უშველითო.

მოკლედ, ვიდრე კუს ტბაზე საბილიარდოსაც გახსნიან, როგორმე სხვა რამ უნდა ვიპოვნოთ თავშესაქცევად. ისე, საოცარია, რომ კუს ტბის ზემოხსენებული ესთეტიკა ძირითადად ხმელეთზე ვითარდება და საკუთრივ ტბას დეკორატიული დატვირთვაღა შერჩა. ერთადერთი, რასაც ვერ წაართმევ და, ვთქვათ, ავლაბარში ვერ გადმოიტან – ნავები და წყლის ველოსიპედებია. ამ მხრივ, ბოლო დროს კუს ტბა ძლიერ წავიდა წინ: ველოსიპედები უკვე დელფინის ფორმისაა, ტენტიანებიც კი "გაჩითეს", იმედი მაქვს დროთა განმავლობაში რაოდენობაც მოიმატებს, თორემ მანქანების რიგს ველოსიპედების რიგიც თუ დაემატა, კუების არ იყოს, მეც აღარ გავეკარები იქურობას. ამას წინათ, წყლის ველოსიპედზე ვიჯექი, მაგრამ ტბა იყო ისეთი წყნარი და გაყურსული, რომ კატერით მოსეირნეებს ვეხვეწებოდი, ჩვენს წინ ჩაექროლათ და "ტალღები გაეკეთებინათ".

შარშან ცოტა ხანი საბაგირო გზაც მუშაობდა. წელს ჯერ საჰაერო ინდუსტრიის აყვავების ნიშნები არ ჩანს, თუმცა კი წაადგებოდა სიტუაციას, თან მანქანის გაჩერების პრობლემაც მოიხსნებოდა. თუმცა ვიდრე ყველა ეს სიკეთე ერთად დაგვეცემოდეს თავზე, აჟიტირების მიზეზს მაინც ყოველ საღამოს ვპოულობთ, და დავგრიალებთ ასე - "ჩემი ბუცები შენსას ჯობიას" დასამტკიცებლად ვაკე - კუს ტბის გზატკეცილზე.

# გერმანელი შუტინგსტარი ჰოლივუდში

ნინო პირველი

მარლენ დიტრიხის მერე გერმანიას მსოფლიო მასშტაბის მსახიობი აღარ ჰყოლია. გერმანელ "ასთა" შორის თანამედროვე შოუბიზნესში ყველაზე ცნობილი და პოპულარული მხოლოდ ორი ტოპმოდელია –კლაუდია შიფერი და ჰაიდი კლუმი. და აი, გერმანელ და ამერიკელ საქმოსნებს აზრად მოუვიდათ ფრანკა პოტენტეს სახით მსოფლიოს კიდევ ერთი გერმანელი შუტინგსტარი აჩუქონ, მითუმეტეს, რომ ახალგაზრდა მსახიობს ამისთვის ყველა მონაცემი გააჩნია.

ფრანკა პოტენტე მსოფლიომ და, მათ შორის, საქართველომაც ტომ ტიკვერის არაორდინალური ფილმით " გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი" გაიცნო, რომელმაც მსახიობი მთელს გერმანიაში უსაზღვროდ პოპულარული გახადა. ამ ფილმის გადასაღებად, რომლის მსვლელობისას ფრანკას გმირი ლოლა თავქუდმოგლეჯილი დარბის ბერლინის ქუჩებში, მსახიობს სერიოზულად დასჭირდა სირბილში წავარჯიშება. "მიუხედავად იმისა, რომ სირბილს ვერ ვიტან და აქტიური მწეველი ვარ, იძულებული გავხდი საკუთარი ბუნების წინააღმდეგ წავსულიყავი, რათა ფილმში დამაჯერებლად მეთამაშა," - იხსენებს ფრანკა, რომელსაც გადაღებისას გაწეული შრომა და ოფლისღვრა ნამდვილად იმაზე მეტად დაუფასდა, ვიდრე თავად ელოდა.

ამჟამად ფრანკა პოტენტე ლოს ანჯელესში იმყოფება და ჰოლივუდის დაპყრობას ცდილობს. მისი იმიჯის შესაქმნელად უამრავი ადამიანი იღწვის. ლინგვისტები გამოთქმას უსწორებენ და ცდილობენ, თითოეული ბგერა სწორად იყოს გამოთქმული, რაც ფრანკას, პრინციპში არც უჭირს, რადგან სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი ჯერ ინგლისში სწავლობდა, შემდეგ კი ერთ-ერთ ამერიკულ ჰაისქულში დადიოდა. როცა ჟურნალისტები ფრანკასგან ინტერვიუს იღებენ, ოთახში მუდამ ზის მსახიობის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც ფრანკას ყველა სურვილს უთქმელად ხვდება და იმაზე ზრუნავს, რომ მსახიობს ვინმემ რაიმე არაკორექტული არ ჰკითხოს. ქუჩებში ფრანკა ჯერ ოსკაროსან მეტ დეიმონთან ერთად დადიოდა, ახლა კი მისი სავიზიტო ბარათი ახალი ფილმ-ჰიტის, "ბეჭდების მბრძანებლის" ვარსკვლავი ელი ვუდია, რომელიც, როგორც ჩანს, გულგრილი ვერ დატოვა წითელთმიანი ფრანკას მომხიბვლელობამ. თავის ახალ მეგობართან ერთად ფრანკა ყველგან სიამოვნებით დადის და გრძნობების საჯაროდ გამოხატვისა არანაირად არ ერიდება.

ევროპიდან ახლადჩასულ ფრანკას თავიდან გაუჭირდა ამერიკულ გარემოსთან შეგუება. " პირველ ხანებში ჩემთვის საშინელება იყო იმ ბეტონის უდაბნოში ცხოვრება, რომელსაც ლოს ანჯელესი ჰქვია, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილას დადგა. ახლა მე კმაყოფილიც კი ვარ ამ ქალაქში ცხოვრებით. ჩემი ბინა ლოს ფელისში, ქალაქის ძველ ნაწილში მდებარეობს. მშვენიერია, აქ ყოველდღე მზე ანათებს.-" ამბობს ფრანკა.

ჰოლივუდში ის სულ მალე გახდება პოპულარული, ამისთვის უკვე იზრუნეს. "ფრანკას ისეთი საოცარი პიროვნული ხიბლი აქვს, რომ მას ჰოლივუდში ფეხის მოკიდება ნამდვილად არ გაუჭირდება."-ამბობს ბენ აფლეკი. ჯონი დეპი კი ფიქრობს, რომ ფრაკას "გლამური" ერთ ადამიანს კი არა, მთელ კლასს ეყოფა.

ჰოდა, ეს მომხიბვლელი გოგონა, რომელიც უკვე 27 წლისაა და არც ისე ახალგაზრდაა, რომ ცხოვრება თავიდან დაიწყოს, ჰოლივუდის დაპრობისთვის ემზადება. ამაში მას პიტერ გრინვეის ახალი პროექტი დაეხმარება. ეს ტიპიური ჰოლივუდური ფილმი იქნება, რომლის ჰონორარად ფრანკა დღეში 5000 დოლარს მიიღებს, ნაცვლად თავის პირველ ფილმში აღებული 7500 ევროსი.





# ნიანგების შემოსევა

ნიუ-იორკის პოლიცია სანადიროდ იყო გასული ცენტრალურ პარკში, სადაც ოცზე მეტმა ადამიანმა ტბაში 60-სანტიმეტრიანი ნიანგი დაინახა. თუმცა მოხელეები ყველაფრის გადაკეტვას შეეცადნენ, მაყურებელი მაინც ბევრი იყო. პოლიციელებმა ნიანგი ვერ დაიჭირეს.

საბოლოოდ მხეცს ფლორიდელმა კაცმა სტაცა ხელი - სიტყვის სრული მნიშვნელობით. საწყალი ნიანგი შინაური ყოფილა, პატრონს სახლიდან გაექცა.

გასულ პარასკევს ნიანგმა კიდევ ერთ მოულოდნელ ადგილას წამოყო თავი. გერმანელებმა მშვიდობიან მდინარე რაინში მოჭყუმპალავე ნიანგს მოკრეს თვალი. გერმანელი ნიანგი უფრო შთამბეჭდავი ზომისა ყოფილა - 1,5 მეტრი. მას შემდეგ ალიგატორი ხან სად ალმოჩნდება ხოლმე, ხან - სად. ამ ნიანგთან დაკავშირებითაც ეჭვობენ, რომ შინაური უნდა ყოფილიყო, ეტყობა, პატრონმა მისი ზომები და მადა ველარ აიტანა და რაინში გაუშვა.

საოცარი ისაა, რომ რაინის ნიანგი, როგორც ჩანს, გაორდა: რეპტილია იმ დროს დაინახეს, როცა ის, სხვა მოწმეების ჩვენებით, სულ სხვა ადგილას იმყოფებოდა.

ცხადია, პოლიცია მობილიზებულია, მაგრამ ჯერ ვერაფერს მიაგნო, რაინი ხომ ცენტრალური პარკის ტბა არაა. ამჟამად მდინარეში ბანაობა აკრძალულია და საერთოდ საეჭვოა, რომ ამის შემდეგ ვინმემ შესვლა გაბედოს...

# TV პროგრამა 14 ივნისი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.55 კუსტოს წყალქვეშა მოგზაურობა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი "პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "უჯრედი" მთ.როლებში: ჯენიფერ ლოპესი, ვინსენტ დონიფრიო
02.00 მხ.ფ. "გლადიატორი" მთ.როლებში: რასელ ქროუ, ხოაკიმ ფინიქსი

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ბულგია - რუსეთი
13.30 მხ. ფილმი "გოგონა ხიდზე"
15.00, 20.00, 22.50 მოამბე
15.15 ფრანგული პროგრამა
15.35 50-50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: პარაგვაი - კორეა
18.30 ტელესერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ჯანმრთელობა
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ბელგია - რუსეთი (ვიდეოჩანაწერი)
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვილეოპატრული
00.25 სატელევიზიო სპექტაკლი "სოფლის აშიკი"

## მეორე არხი

11.20 ფეხბურთი. ტუნისი - იაპონია
16.20 ფეხბურთი. პოლონეთი - აშშ
18.30 ფეხბურთი. ტუნისი - იაპონია (განმეორებით)
20.30 ფეხბურთი. პორტუგალია - კორეა (განმეორებით)
22.30 "მოამბე" მეორე არხზე
22.45 მუსიკა
23.00 ფეხბურთი. პოლონეთი - აშშ (განმეორებით)

## ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
10.15, 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.40 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის შემსწავლელთა კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 გადაცემა "მომავალი"
20.00 ახალი ქსელები
21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.40 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი "შერბურის ქოლგები"

## იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 ალსავალი
08.20, 10.00, 12.15, 20.20, 21.50, 23.40 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სუპერჯაშუში"
10.10 მხ.ფ. "დაპირება"
20.25 მხ.ფ. "ცხელი ზაფხული"
22.00 მხ.ფ. "ქალთა მოლხენა"

## პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 "ჩაძიროგანა" განმეორებით
13.30 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.25 "სწ.მედია" მხ.ფ. "პიკის საათი 2"
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 რუსული ათეული
23.00 "პაპარაცები"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "როკერები". მთ. როლებში ერიკ რობერტსი, ჯონ ტეილორი
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ჯადოსნური სარკე"
03.35 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. "მხოლოდ ორჯერ ცხოვრება"
13.50 მხ.ფ. ":ანა დარკი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ინტუიცია"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
21.50 მხ. ფილმი "მისი უდიდებულესობის სამსახურში"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-9 სერია
09.50 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-9 სერია
10.20 მხ. ფილმი "ტრამვაი სახელად - სურვილი"
12.20, 13.25, 16.20, 17.20, 18.50, 20.20, 21.20, 23.50, 00.20 მუსიკა
12.30 დოკ. ფილმი "მაგია - წარსული აწმყო"
13.35, 15.30, 19.00 დისქავერი
14.45, 21.30 მთავარი თემა
16.30 მხ.სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-14 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-10 სერია
18.20 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-10 სერია
19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.10 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
22.15 მხ.ფ. "მუცელი" რეჟ. ჰაიპ ვილიამსი
00.40 მხ. ფილმი "შავი ქორის დესანტი". მთ. როლში ტომ საიზმორი

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 კომედია "თეფში"
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.00,16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მსოფლიო კინოს კლასიკოსები "ყვირილი"
14.05 კომედია "მაფიაზე დაქორწინებული"
16.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
17.25 მელოდრამა "რებეკა" 2 სერია
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "მზე აქ შემიჩერებია"
21.15 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 საინფორმაიო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05 "პრესდაიჯესტი"
23.15 მსოფლიო ხელოვნების ოსტატები "რემბრანტი"
01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
01.10 ისტორიული მელოდრამა "ელ სიდი" 2 სერია
03.30 კომედია "ჯონი კბილჩიჩქნა"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 აფიშა

09.20 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.50 "აჩიკუდა"
10.20 მოკლედ... სპორტი
10.30 მუსიკალური ტაიმაუტი
11.15 მულტსერიალი
11.30 მუსიკალური ბიორითმი
11.50 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.00 გასართობი პროგრამა
12.25 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 სპორტი
17.10 პრესა
17.25 სპორტული ინფორმაცია
17.40 რაგბი. "ზე-12"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.45 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
20.40 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.45 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
21.35 მოკლედ...სპორტი
21.45 მუსიკალური ტაიმაუტი
22.00 "პერიფერია"
22.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.25 "კინოკლუბი" -ეკრანული სახეები - ჯეკ ნიკოლსონი - მხ.ფილმი "მარსი უტევს" .
00.20 პრესის მიმოხილვა
00.45 მოკლედ...საინფორმაციო გამოშვება
01.05 მუსიკალური ბიორითმი
01.25 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "შიშველი სიმართლე"
03.00 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.25 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.15 х.ф. "ЧЕРНЫЙ ОКЕАН"
12.45 Ералаш
13.15 Док. детектив "Из воров в греки"
13.45 ФУТБОЛ. ТУНИС- ЯПОНИЯ.
16.15 Мультсеанс.
16.40 Что да как.
17.00 Сериал "ЗИМНЯЯ ВИШНЯ"
18.00 Большая стирка
20.25 Док. детектив. "Троянский конь".
21.00 Поле чудес.
22.00 Время.
22.35 х.ф. "РОККИ-3" (США).
00.30 "Другое Время"
01.15 "Большой футбол" Ток-шоу.
01.45 Чемпионат мира по футболу.

## РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 16.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 18.10 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я.
09.15 Мусульмане.
09.40 "Пролог" часть 2-я.
10.10 Моя семья.
11.20 ФУТБОЛ. БЕЛЬГИЯ- РОССИЯ.
13.30 Сериал "СИБИЛЛ".
14.00 Сериал "ЛОДКА ЛЮБВИ"
15.00 Сериал "дикий ангел"
16.20 ФУТБОЛ. ПОЛЬША -США.
18.50 Док. фильм "Упражнения в оптимизме".
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 ФУТБОЛ. БЕЛЬГИЯ- РОССИЯ. Дневник чемпионата мира по футболу.
00.05 х.ф. "МАМА, НЕ ГОРЮЙ".
01.50 х.ф. "ГАТТАКА" (США).

## НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30 Сегодня.
07.05, 07.35, 08.10, 08.35, 09.10, 09.35 Утро на НТВ
09.55 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 00.45 Сегодня.
11.25 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
11.25 Шоу Елены Степаненко.
12.20 "Растительная жизнь" Георгий Боос.
13.20 фильм "КУРЬЕР"
15.05 "продолжение следует. . ."
16.00 Пепси-чарт.
16.40, 19.40 Криминал
17.30 Сериал "ПО ИМЕНИ БАРОН..."
18.40 Внимание: розыск!
20.35 "Свобода слова"
22.10 Криминальная Россия.
23.30 фильм "КАК СДЕЛАТЬ ИЗ ЖЕНЫ ЧУДОВИЩЕ"
01.30 "Все сразу!" ночные развлечения
02.10 фильм "РАЗБИРАЯ ГАРРИ".

# კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | 3 | 1 | 3 | | | | | | | | 1 | 2 | 2 | | 2 | 4 | 2 | | | | | |
| | | | | | | | 7 | 1 | 6 | 1 | 7 | 3 | | | 7 | 9 | 11 | 13 | 15 | 3 | 15 | 11 | 3 | 15 | | | | | |
| | | | | | 1 | 3 | 1 | 4 | 4 | 4 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 9 | 9 | 9 | 9 | 1 | 13 | 11 | 9 | 7 | 3 |
| | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 1 | 1 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 4 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 3 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 2 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 5 | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 5 | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 1 | 6 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 6 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 1 | 6 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 5 | 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 1 | 1 | 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 1 | 2 | 12 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 1 | 3 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 2 | 2 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 5 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 5 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 3 | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 6 | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71

იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში